პროლეტარებო ყველა ქვეყნისა შეერთდით

წელიწადი მეორე

კომუნისტი

ცენტრ. და თბილისის კომიტეტის და სრულ. საქარ. მ., გ., წ.-არმ. და მატროსთა დეპუტატების საბჭოთა ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტის ორგანო.

რედაქციის მისამართი: თბილისი, კრუზენშტერნის ქ. № 4. რედაქცია ღია ყოველ დღე გარდა კვირა უქმეებისა დილ. 10 ს.—2 ს.

ტელეფონები: სარედაქციო კოლეგ. № 14—76, მდივნის № 19 საერ. №

ფასი 10,000 მანეთი
პროვინციაში 12,000 მან.

№ 10 | კვირა, 7 მაისი 1922 წ. | ყოველდღიური გაზეთი | კვირა, 7 მაისი 1922 წ. | № 10

სამშაბათს, 9 მაისს, საღამოს 5 საათზე სახალხო კომისართა საბჭოს სასახლის თეთრ დარბაზში შესდგება

საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციების მესამე საქალაქო პარტ-კონფერენცია

დღის წეს რიგი: 1) საბჭოთა ფედერაციის საერთაშორისო მდგომარეობა, 2) საქართველოს ეკონომიური მდგომარეობა, 3) ფინანსების საკითხი, 4) თბილისის კომიტეტის ანგარიში, 5) სარევიზიო კომისიის მოხსენება, 6) პარტიული და საბჭოთა აღმშენებლობა, 7) არჩევნები, 8) მიმდინარე საკითხები.

წარმომადგენლობის ნორმა 10—1 დელეგატი. წითელ ლაშქარს გადამწყვეტის ხმით ეძლევა 15 ადგილი და ახალგაზრდა კომუნისტთა კავშირს 5.

მანდატებს მიიღებენ საქართველოს კ. პ. თ. კ. საორგანიზაციო განყოფილებაში.

თ. კ მდივანი ღოღობერიძე

(3—2)

ორშაბათს, 8 მაისს, საღამოს 6 საათზე ზუბალოვის სახელობის სახალხო სახლის შენობაში შესდგება

მუშათა და წითელ არმიელთა დეპუტატების ტფილისის ქალაქის საბჭოს პლენუმის სხდომა

ყველა წევრისა და კანდიდატების დაარსება სავალდებულოა

დღის წეს-რიგი:

1) ქალაქის ჯანმრთელობის დაცვის მოღვაწეობის შესახებ, 2) კომუნალური მეურნეობის მოღვაწეობის შესახებ, 3) პრეზიდიუმის მუშაობის შესახებ, 4) მიწათმოქმედობის განყოფილების შესახებ, 5) მიმდინარე საქმეები.

მდივანი მესხი.

2—2

მეტი ყურადღება სოფელს!

ჩვენი ქვეყანა უმთავრესათ გლეხური ქვეყანაა. მისი მცხოვრებთა დიდი უმრავლესობა, თითქმის 90 პროც. სოფლის მუშა-გლეხებისაგან შესდგება. ამიტომ საქართველოს საბჭოთა აღმშენებლობისათვის საჭირო ნედლ მასალასაც უმთავრესათ აქედან კრებს ჩვენი სახელმწიფო ხელისუფლება.

სასურსათო გადასახადი, ტვირთზიდვის გადასახადი, რევოლიუციის დამცველ წითელ-არმიაში საჭირო ახალგაზრდების გაგზავნა მის შესავსებათ და გასაძლიერებლათ და სხვ. აი რას აძლევს სოფლის გლეხობა ქალაქის მუშებისა და მის სახელმწიფოს, ვინაიდან ეს მისი ვალია, რომელიც უნდა შეასრულოს მან, თუ სურს, რომ არსებობდეს და მაგრდებოდეს მისი დამცველი რევოლიუციონური ხელისუფლება.

სამაგიეროთ სახელმწიფო მას თავის მხრივ ყოველგვარ დახმარებას უწევს მისი მეურნეობის აღდგენისა და განვითარების საქმეში, თავზე დამტყდარ სტიქიურ თუ სხვა უბედურების რაც შეიძლება ნაკლები ტკივილებით გადატანაში. მაგალითად, ის აძლევს მას სათესლე მასალას რაც შეიძლება მეტი მიწების დასათესათ, რათა მომავალში მაინც თავიდან აცილებული იქნეს ის საშინელი უბედურება, რომელსაც სიმშილი ეწოდება. ის ეხმარება მას და ხელმძღვანელობას უწევს სარწყავი არხების გაყვანაში უმთავრესათ იქ, სადაც მიწები ისედაც საკმარისად ნოყიერი არაა და გვალვების დროს საშინელ მოუსავლიანობას აქვს ადგილი. ის ეხმარება მას სასოფლო სამეურნეო იარაღებით მიწების დასამუშავებლათ, აგრონომების კადრების სოფლათ დაგზავნით, სასოფლო მეურნეობის კულტურულ ნიადაგზე დასაყენებლათ, რათა მეტი ნაყოფი გამოიღოს მიწის დამუშავებისათვის გაწეულმა შრომამ.

ერთი სიტყვით, სახელმწიფოც, როგორც ერთგული დამცველი მუშებისა და ღარიბი გლეხობის ინტერესების შესაფერ და შესაძლო დახმარებას უწევს ჩვენს გლეხობასაც.

მაგრამ არის კიდევ ბევრი რამ, რომელიც მეტად ესაჭიროება გლეხობას, და რომელიც აუცილებელი და გადაუდებელ საჭიროებათ ხდება დღეს ჩვენთვის. განსაკუთრებით ამ გლეხობის პოლიტიკურათ გათვითცნობიერება და მისი სიბნელისა და წერა-კითხვის უცოდინარობისაგან, რომელიც სამემკვიდროთ დაგვიტოვა ჩვენ ბურჟუაზიულმა წყობილებამ, გამოყვანა. ეს მით უფრო საჭიროა, რომ, როგორც ვიცით, სიბნელე და პოლიტიკურათ განუვითარებლობა საუკეთესო ნოყიერი ნიადაგია ყოველგვარისა და სახის კონტრ-რევოლიუციისათვის.

რასაკვირველია სამისო მუშაობა სოფლათაც სწარმოებს, და სწარმოებს დღიდან საბჭოთა ხელისუფლების დამკვიდრებისა საქართველოში, მაგრამ ეს მუშაობა სხვა და სხვა მიზეზების გამო ვერ არის იმ სიმაღლეზე დაყენებული, როგორზედაც უნდა იყოს.

ამიტომ დიდი ყურადღება უნდა მივაქციოთ ჩვენ ამას და შესაფერი სასწრაფო ნაბიჯებიც უნდა გადავდგათ იქეთკენ. მაგალითად, დღეს გენუაში ხდება სხვა და სხვა ქვეყნების მთავრობების წარმომადგენელთა კონფერენციის სხდომები, რომელზედაც მონაწილეობას იღებს აგრეთვე საბჭოთა რესპუბლიკების ფედერაციის დელეგაციაც. ვიცით აგრეთვე, თუ როგორ დაუზოგველათ მუშაობენ ჩვენი გამცემელი მენშევიკები იქ დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიულ ქვეყნებში, რათა კონფერენციამ დაუბრუნოს მათ დაკარგული ტახტი. ვიცით ისიც თუ როგორ უნაყოფო გამოდგა მათი ასეთი ცდა და კოვზი ნაცარში ჩაუვარდათ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის ჩამორჩენილ კუთხეში, გლეხებში ეს არ იციან და შესაძლებელია ადგილი ექნეს მენშევიკების პროვოკაციულ აგიტაციას უვიცი გლეხების დასაბნევლათ. ამიტომ ჩვენ დიდი მუშაობა გვმართებს სოფლათ და განსაკუთრებით ჩამორჩენილ განაპირა როგორც იტყვიან ხოლმე, „ყრუ ადგილებში", რათა ნათელი წარმოდგენა მივსცეთ გლეხებს შექმნილ ვითარებაზე და მით გავაფრთხილოთ ისინი მენშევიკების ყოველგვარ პროვოკაციულ აგიტაციისაგან.

ყოველ სოფელში ყოველ კვირას, თუ კი შესაძლებელი იქნება, უნდა იმართებოდეს გლეხების საერთო კრებები და მიტინგები და უნდა უხსნიდენ ჩვენი ამხანაგები მათ, თუ როგორია შექმნილი მდგომარეობა, როგორც შინ, ისე გარეთ და მით სავსებით გამოაცალონ ნიადაგი ყოველგვარ ცრუ ხმებს. თუ ამას შევსძლებთ, და რომ უნდა შევსძლოთ, ეს უდავოა, კავშირი გლეხისა და ქალაქის მუშას შორის კიდევ უფრო მჭიდრო გახდება, და მით კი სავსებით უზრუნველყოფილი იქნება საბჭოთა ხელისუფლება და მისი განმტკიცება მშრომელთა მასების სასარგებლოთ.

პროლეტარიატის ერთიანი ფრონტი

პროლეტარიატის ერთიანი ფრონტის იდეია იშვა გერმანიაში. გერმანიის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ კომინტერნის აღმასკომში წამოაყენა ეს კითხვა უკვე კონკრეტიულათ გადასაჭრელათ და ცხოვრებაში გასატარებლათ მას შემდეგ, რაც ბევრათ ადრე კომინტერნის კონგრესმა ისროლა ცნობილი ლოზუნგი: „მასსებისკენ", რომელიც შეიცავდა წინასწარ ერთი და იმავე რიგის პრაქტიკულ პრინციპს ამ ერთიანი ფრონტის ლოზუნგთან. თავისი მიზეზები აქვს იმ მოვლენას, რომ ამ ლოზუნგის სამშობლო სწორეთ გერმანია არის. არსად ისე მწვავეთ არა სდგას კითხვა ამ შეთანხმებული პრაქტიკული მუშაობის და ბრძოლის როგორიც ეს არის თანამედროვე გერმანიის პირობებში. ეკონომიური კრიზისი და მშრომელთა საშინელი მატერიალური მდგომარეობა და კაპიტალის შეტევაზე გადასვლა მის წინააღმდეგ, საერთო მოვლენაა ცოტა მეტნაკლებობით ყველა ქვეყნებში, მაგრამ ისე მწვავეთ, ისე თვალსაჩინოთ არსად არ გამომჟღავნებულან პერიპეტიები ამ მოვლენის როგორც გერმანიაში. გერმანელი მუშა შეიქნა ლუკმა როგორც „თავისი" „საკუთარი" ბურჟუაზიის გაუმაძღრობის, რომელიც სცდილობს მის ხარჯზე ემსახუროს ანტანტას, ისე ამ უკანასკნელის მსუნაგობისა და ყ[illegible]ს. საერთო მდგომარეობა მოითხოვს მთელი შეერთებული ძალებით გამოსვლას შინაურ და გარეშე სულთ მხუთავების წინააღმდეგ და ეს შეგნება ერთიანი შეთანხმებული ბრძოლის საჭიროების წარმოადგენს მკვეთრ კონტრასტს იმ სინამდვილესთან, რომელსაც აქვს ადგილი გერმანიის მუშათა მოძრაობაში: შეიძლება არც ერთი ქვეყნის პროლეტარიატი ისე არ გრძნობდეს თავის დაქსაქსვას პოლიტიკურ და პროფესიონალური ორგანიზაციის სფეროში, როგორც გერმანიის და ეს იმიტომ, რომ მუშათა მოძრაობას იქ თავისი აკვნიდანვე შეთვისებული ჰქონდა აუცილებელი საჭიროება ერთიანობის და მაგარი დისციპლინის. ეს განცალკევება ძალების, დაქსაქსვა მათი ყველაზე უფრო ხელშესახები ხდება გაალმასებული სოციალური ბრძოლის ფაქტით და კიდევ უფრო მისი მომავალი პერსპექტივების გავლენით. ასეთ პირობებში დაიბადა საკითხი ძალთა გაერთიანების, ბრძოლაში ჩათრეულ მტრის წინააღმდეგ ერთიანი ფრონტის შექმნის შესახებ.

სამი მიმდინარეობა აღმოჩნდა იმ თავითვე ამ საკითხში.

სოციალ-დემოკრატია—კუნოვ-შეიდემანის პარტია—წინააღმდეგი იყო და არის (რაც შეუძლია) ყოველგვარი „გამაერთიანებელი თამაშის". მას სურს ორივე დანარჩენი პარტია შთავიდეს ძველ სოციალდემოკრატიაში და დაიმორჩილონ მის პროგრამას, ტაქტიკას და ორგანიზაციას. მას იმავე გზით სურს გაერთიანება დანარჩენ მუშათა პარტიებთან, როგორც მშიერ კაცს პურთან ე. ი. უბრალოთ რომ ვთქვათ მას უნდა ორივე პარტიის გადაყლაპვა. ამაზე, რასაკვირველია, ვერ დაეთანხმებოდა მას ვერც დამოუკიდებელი სოციალისტები და ვერც კომუნისტების პარტია.

დამოუკიდებელთა პარტია ფიქრობდა გაერთიანებას ურთიერთ შორის პრინციპიალური დათმობის და ამ გზით საერთო შემარიგებელი პლატფორმის ნიადაგზე. „საერთო მუშაობა—სწერდა ამ პარტიის ცენტ. ორგ. „ფრაიჰაიტი"—შეიძლება მოჰყვეს შედეგათ მხოლოდ შეხედულებათა (Auffassungen) შეთანხმებას". ე. ი. ურთიერთ შორის პრინციპიალური დათმობა—ამ გზით ჰქონდათ მათ წარმოდგენილი შეთანხმების მოწვევა.

სულ სხვანაირი იყო ჩვენი ამხანაგების თვალსაზრისი ამ საკითხზე გერმანიაში. ისინი ამბობდნენ: გაერთიანება მუშათა კლასის ერთი მიზნის თვის, ერთი დროშის ქვეშ და ერთი პარტიის ირგვლივ მოხდება, მაგრამ შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ეს მოსახერხებელი იყოს ხელმძღვანელი ორგანოების „დეკრეტით". ამ გაერთიანებული მოძრაობის ტალღა უნდა დაიძრას ქვევიდან, მასებიდან, რომლებიც თავისი გამოცდილებით, ბრძოლის პროცესში ამა თუ იმ პარტიის ჭეშმარიტი ფიზიონომიის შეცნობით, გადასწყვეტენ, რომელ პრაქტიკულ პლატფორმაზე უნდა გაერთიანდენ ისინი, რათა უზრუნველყოფილ იქნეს როგორც „შორეული", ისე ახლობელი მიზნები ბრძოლის. არა პრინციპების მიჩქმალვა, არა დავიწყება მისი რაც მოხდა, არა პრინციპიალური დათმობა ურთიერთშორის. ამ მხრივ ჩვენი მსაჯული ისტორიაა, დეე ეს მუშათა მასსებმა განსაჯონ და თავისუფალი არჩევანი მოახდინონ. ამ გზით შეიქნება ერთი მთლიანი მუშათა პარტია, მაგრამ ერთი დაკვრით ეს არ მოხერხდება. დღეს კი უნდა მოვახერხოთ ერთი რამ: მუშათა პარტიების შეთანხმებული მუშაობა გარკვეული, ახლომდებარე კერძო მოთხოვნილებებისთვის, რომელთა განხორციელების საჭიროება შეგნებული აქვთ მუშათა ფართო მასსებს.

მკითხველი ხედავს, რომ მემარჯვენე სოციალდემოკრატიული პარტია იმ თავითვე წინააღმდეგი იყო მუშათა პარტიების გაერთიანების არა სხვანაირათ, ვინემ დანარჩენი სოციალისტური პარტიას სრული დამორჩილებით. ის წინააღმდეგი იყო მუშათა ერთიანი ფრონტის იმ შინაარსით, როგორითაც ეს წარმოდგენილი ჰქონდა კომუნისტებს: არა ორგანიზაციული გაერთიანება პარტიების, არამედ მათი და მათთან მთელი მასსების შეთანხმება გარკვეული აქციისათვის ისეთი ლოზუნგების ქვეშ, რომლებიც ყველაზე უფრო გასაგები ან გაგებული არის უკვე, რომლებსაც შეუძლიათ შემოკრიბონ თავის ირგვლივ მილიონები, მაგრამ იმავე დროს კრიტიკის თავისუფლება.

კითხვის ასეთი დაყენების წინააღმდეგ გამოდიოდნენ და დღესაც გამოდიან მემარჯვენე სოციალდემოკრატები გერმანიაში და სხვაგანაც. მათ კარგათ იციან, რა შედეგი შეიძლება მოჰყვეს კომინტერნის ამ ახალ ტაქტიკას.

არის თუ არა საფუძვლიანი მათი შიში, რომ სოციალ გამყიდველების პარტია სრულიათ გაკოტრდება ერთიანი ფრონტის პრაქტიკაში? ჩვენ გვგონია, რომ წინათგრძნობა მათ არ ატყუებს და რომ ასეთი პროგნოზი მოწმობას მათი პოლიტიკური ყნოსვის გრძნობიერობაზე და სისაღეზე.

საქმე იმაშია, რომ ომის შემდეგაც სინამდვილე წარმოადგენს ასპარეზს გაალმასებული კლასიური ბრძოლისას; სოციალური წინააღმდეგობათა გამოაშკარავების პროცესი შეუჩერებლივ წინ მიდის, მთელი სოციალური ნიადაგი ამაფეთქებელი ნივთიერებით არის გაჟღენთილი. მთელ ხაზზე წარმოებს ბრძოლა ზოგან ყრუ, ზოგან აშკარა და ალაგალაგ ის იღებს სამოქალაქო ომის ფორმასაც. მშრომელთა მდგომარეობა უარესდება ყველა ქვეყნებში როგორც დამარცხებულებში, ისე ეგრედ წოდებულ გამარჯვებულებშიც. კაპიტალი გადასულია შეტევაზე ყველა ბურჟუაზიულ ქვეყნებში და ბუნებრივია, იწვევს საწინააღმდეგო ბრძოლის სურვილს და ბრძოლასაც, რომლებშიაც ებმება არა მარტო რომელიმე ერთი დარგის მუშები, არამედ დანარჩენი მშრომელთა მასსაც. ამ ბრძოლაში აგორებული მასიური სტიქია ხშირათ ისწრაფვის უფრო შორს, მიმართავს უფრო უჩვეულო ბრძოლის საშუალებებს, ვინემ ეს გაგეგმილი აქვთ ოპორტიუნისტულ ბელადებს მოძრაობისას, ან რომლებიც მათთვის უჩვეულოა. და აი დაწყებული ბრძოლის პროცესში ეს ბელადები და მათ გავლენის ქვეშ მყოფი წრეები შეადგენენ დამაბრკოლებელ ძალას, რომელიც უკან ეწევა მოძრაობას, ეშინია არ გადასცდეს ის „გონიერი ზომიერებისა და ზომიერი გონიერების" ფარგლებს, რომ ის არ განვითარდება იმდენათ, რომ არ დაარღვიოს ამ ბელადების „Hochpolitik", „მაღალი პოლიტიკა", მაღალ ბურჟუაზიულ სფეროებში შედგენილი კომბინაციები, არ ავნოს თითქმის ყველგან არსებულ კოალიციას ამ ბურჟუაზიასა და მუშათა ოპორტიუნისტულ ბელადებს შორის. ამნაირათ მდგომარეობა ამ ბელადების, დამოკიდებულება მათ გავლენის ქვეშ მყოფი პარტიების ბურჟუაზიულ მთავრობებთან, აიძულებს მათ შტრეიკბრეხერული როლი ითამაშონ თითქმის ყოველი გაფიცვის განვითარების დროს და ამნაირათ ნამდვილი დეზორგანიზაცია შეიტანონ ბრძოლაში. ჩართულ მასების რიგებში ორში ერთი უნდა მოხდეს ასეთ შემთხვევაში: ან ბელადები და მათი ყურმოჭრილი მონამორჩილი პარტიული ბიუროკრატია უნდა მოსწყდეს ბურჟუაზიულ კოალიციას და დადგეს მებრძოლთა რიგებში, ან, როგორც ეს ყოველთვის ხდება, დარჩეს კოალიციაში და ბრძოლაში ჩართული ფართო მასების აშკარა დასანახავ—ხოლო ბრძოლის დროს ასეთი ფაქტები უფრო აშკარა და თვალსაჩინო ხდება, რადგან მოვარაყებული ლითონი სიტყვების დრო მაშინ აღარ არის, „не в шумной беседе друзья познаются!"—აშკარა დასანახათ მოღალატურათ მოსცილდეს ბრძოლის ველს ან დარჩეს, მაგრამ დარჩეს როგორც ხელშემშლელი, დეზორგანიზატორი, მოღალატე ამ სიტყვის უშუალო მნიშვნელობით. ერთი ფრიად თვალსაჩინო მაგალითი ასეთი მდგომარეობის მოგვცა უკანასკნელმა გაფიცვებმა გერმანიის რკინის გზებზე, რომლებსაც მხარი დაუჭირეს სხვა დარგის მუშებმაც. პარტიული და პროფესიონალური ბურჟუაზიის პოლიტიკური სიკოტრე და მოღალატური, დეზორგანიზატორული როლი ცხადი შეიქნა ყველასათვის. თვით მარტოვიც გააწითლა ამ ამბავმა და ხელში კალამი აღებია მათ დასაგმობათ".

ამნაირათ მთელ მსოფლიოში შექმნილი მდგომარეობა მუშათა მასსების, ერეკება გადამჭრელი ბრძოლისაკენ შეურიგებელი ლოზუნგების და რევოლიუციონური დროშის ქვეშ. აქ უბრალო მინიმუმისთვის ბრძოლაც კი პოლიტიკურ ხასიათს იღებს, მასსები ადვილათ იგებენ რევოლიუციონური პარტიის, კომუნისტების პაროლს, მისდევენ მას. ასეთ შემთხვევაში ერთი თითით მონაწილეობის მიღებაც კი მუშათა პარტიების საერთო კოალიციაში მომასწავებელი იქნებოდა მემარჯვენე სოციალისტებისთვის იმის, რომ ეს კოალიცია ჩაიჭერდა მთელ როლს და დაბოლოს მოძრაობის სამსახურში მოაქცევდა, რამდენათაც ეს იქნებოდა გამოსადეგი, ოპორტიუნისტულ ფრთასაც ამ მოძრაობისას. კოალიცია სხვა მუშათა პარტიებთან დაარღვევდა კოალიციას მოპირდაპირე პოლიუსზე, კოალიციას ბურჟუაზიასთან. ბოლო მოეღებოდა იმ „სამოქალაქო ზავს", რომელიც გადმონერგეს ომის დროიდან დღევანდელ ხანაში სოციალ-შემთანხმებლებმა. ეს იქნებოდა ყოველ შემთხვევაში სრული გამოაშკარავება მათი მოღალატური ბუნების და მით მათი დასამარება ფართო მასების თვალში, როგორც ხელმძღვანელი ძალის. ეს იქნებოდა დაბოლოს მომასწავებელი კომუნისტური პარტიის და მთელი კომინტერნის სწრაფი ზრდის და მისი საბოლოო გამარჯვების.

ამნაირათ ბრძოლაში მონაწილეობის მიღება სოციალ-შემთანხმებლებს უქადის დამარცხებას მარჯვნივ, არ მიღება და საბოტაჟი—დამარცხებას მასებში, მარცხნივ ამიტომ მთელი მათი პრაქტიკული ფილოსოფია უტრიალებს გადასაჭრელათ იმ კითხვას თუ როგორ აიცილონ თავიდან ეს ბრძოლები და როგორ შეუშალონ ხელი ერთიანი ფრონტის შექმნას, რომელიც იმიტომ არის ხომ განძრახული, რომ ამ ბრძოლამ მიზანშეწონილათ და წარმატებით იწარმოოს. აქედან მათი ლოზუნგია: ძირს ერთიანი ფრონტი!

მაგრამ ასეთი ლოზუნგის წამოყენებაც იქ, იმ მასებში სადაც, ჯერ ერთი, ტრადიციით დარჩენილია გაერთიანებული ბრძოლის საჭიროების შეგნება, ხოლო მეორეთ, რომ ბურჟუაზიის დღევანდელი დარაზმული გამოსვლა საჭიროდ ხდის ყველა მშრომელებისთვის შეთანხმებულ გამოსვლებს, ასეთი ლოზუნგების წამოყენება მსგავს პირობებში თუ შედარებით არც ისე ადვილი და გასაბედავია, მით უფრო ბევრათ ძნელია მისი გატარება ცხოვრებაში, რადგან ცხადია, რომ დაინტერესებული მასსა სტვენითა და პროტესტებით შეხვდება ყოველ ამგვარ წინადადებას. და უნდა ვთქვათ, რომ ასეთი „შეხვედრა" არა ერთხელ გაუმართავს თავისი ბელადებისთვის თვით სოციალ-გამცემლების პარტიების გავლენის ქვეშ კიდევ მყოფ მუშებს. განსაკუთრებით ადგილი აქვს ასეთ გამოსვლებს გერმანიაში, დაწყებული ამ წლის იანვრიდან. უკანასკნელი დემონსტრაციები 20 აპრილს ამ ქვეყნის მთელ რიგ ქალაქებში ერთი ფრიად მაჩვენებელი მოვლენა იყო ამ რიგიდან. და ჩვენ არასფერი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს პროცესი შესუსტდება ან ლოკალური ხასიათის დარჩება. პირიქით ის გაიზრდება და გავრცელდება.

მუშათა ერთიანი ფრონტის საქმე ძლიერ ბორბლებზეა შემდგარი. ეს ბორბლებია თვით მთელი დღევანდელი სინამდვილე. ჩვენ, აქტიურ მუშაობაში ჩართულებს, შეგვიძლია გულდამშვიდებით ვუცადოთ მის შედეგებს. ისინი იქნებიან კომინტერნის სასარგებლოთ. დალუპვისაკენ მიაქანებენ ისინი უკვე დღესაც ყვითელ ინტერნაციონალებს.

ნ.

გენუის კონფერენცია

რუსეთის ცნობის შესახებ

ბერლინი 5 მაისი (გერმანული რადიო). ინგლისის ტრედ უნიონებმა და მუშათა პარტიამ, 6 მილიონი ბრიტანელი მუშების სახელით, დეპეშით აცნობა ლოიდ-ჯორჯს, რომ ისინი მოითხოვენ საბჭოთა მთავრობის ცნობას და რუსეთ-გერმანიის მიღებას ერთა ლიგაში

რუსეთის პრობლემა

მოკავშირეთა კონტრ-მემორანდუმის შესახებ.

გენუა, 3 მაისი (იტალიის რადიო). მოკავშირეთა კონტრ-მემორანდუმი გადასცა რუსეთის დელეგაციის წარმომადგენელს კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტამ. კონფერენციის თავმჯდომარეს ეს მემორანდუმი გადაეცა 2 მაისს, საღამოს შანცერის მიერ ხელმოწერილი შემდეგი ბარათით: „მაქვს პატივი გამოგიგზავნოთ ამასთან თანდართული დოკუმენტი. საჭიროდ მიმაჩნია დაუმატოთ, რომ საფრანგეთის დელეგაციამ თავი შეიკავა ხსენებულ დოკუმენტის საბოლოო დასტურის საკითხში, სანამ არ მიიღებს სათანადო ინსტრუქციებს თავის მთავრობისაგან".

რუსეთის აღდგენის აუცილებლობა.

გენუა, 3 მაისი (იტალიის რადიო). მოკავშირეთა კონტრ-მემორანდუმის საერთო ნაწილში აღნიშნულია რუსეთის აღდგენის აუცილებლობა, რათა შესაძლებელი გახდეს კონტინენტზე მშვიდობიანობის ჩამოგდება. ამასთან ერთად მემორანდუმში აღნიშნულია ერთა შორის დამოკიდებულების აღდგენის სურვილი და აღნუსხულია დიდი მნიშვნელობა რუსეთისა, რომელსაც აქვს თავის განკარგულებაში ბუნებრივი სიმდიდრენი, რაიც წარმოადგენს დიდ ეკონომიურ ფაქტორს ევროპისათვის. მემორანდუმი შესდგება 13 მუხლისაგან, რომელშიც ჩამოყალიბებულია ის მთავარი პრინ-

წითელი პრესა

თეთრგვარდიელთა ემიგრაციის დაშლა გრძელდება

გრაფი ალ. ნ. ტოლსტოის წერილი ნ. ვ. ჩაიკოვსკისადმი

რუსეთის თეთრგვარდიელთა ემიგრაციის დაშლა უცხოეთში გრძელდება. მას თანდათან სცილდება გამოჩენილი პოლიტიკოსები და ლიტერატორები, რომლებიც წინათ აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ან ინტერვენციებში ან შინაურ თეთრგვარდიელების გამოსვლებში საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ.

საინტერესოა ამ მხრივ გამოსვლა ცნობილი რუსი მწერლის ალ. ნ. ტოლსტოისი. ტოლსტოი თანამშრომლობს გაზ. „ნაკანუნე"-ში, რომელსაც სცემენ ბერლინში ეგრედ წოდებული ახალი „ვეხისტები". გაზეთი სდგას რუსეთის საბჭოთა მთავრობის ცნობის, მასთან თანამშრომლობის ნიადაგზე და ურჩევს ემიგრაციას დაბრუნდეს რუსეთში ამ მიზნით. ცხადია, ტოლსტოის თანამშრომლობამ ასეთ გაზეთში დიდი ალიაქოთი ასტეხა თეთრგვარდიელთა ემიგრაციაში და მას ოფიციალური წერილით მიმართა საფრანგეთში მყოფ რუს-მწერლობისა და მეცნიერების დამხმარე კომიტეტის აღმასრულებელი ბიუროს სახელით ცნობილმა ნ. ვ. ჩაიკოვსკიმ, რომელიც ერთ დროს თავმჯდომარეობდა ჩრდილოეთ რუსეთის მთავრობას და ინგლისელებთან ერთად მოქმედებდა რევოლიუციონური რუსეთის წინააღმდეგ.

ჩაიკოვსკი ეკითხება ტოლსტოის, ნიშნავს თუ არა მისი თანამშრომლობა ამ გაზეთში აშკარა გადასვლას საბჭოთა მთავრობის მხარეზე. ამაზე ტოლსტოიმ მიმართა საპასუხო წერილით ჩაიკოვსკის, სადაც ის ადასტურებს, რომ ის მართლა გადავიდა საბჭოთა რუსეთის მხარეზე და ასაბუთებს თავის ნაბიჯს.

ტოლსტოის აზრით, მხოლოდ ჭკუაშეშლილს შეუძლია იოცნებოს დღეს ბოლშევიკების ჩამოგდებაზე.

„მათი ჩამოგდება დღეს არ ნიშნავს რუსეთის გაჯანსაღებას მძიმე ავადმყოფობისაგან; არავის არ შეუძლია გვიჩვენოს ის რეალური ძალა, რომელიც შეიძლებდა ამას და კიდევაც რომ ყოფილიყო სადმე ასეთი ძალა, მე არ ვარ დარწმუნებული, რომ რუსეთის მცხოვრებთ სურთ ბოლშევიკების ჩამოგდება და მათ ადგილზე გარედან მოსულის დაყენება".

ტოლსტოის აზრით რუსეთის სახელმწიფოებრივობის აღსადგენათ შესაძლებელია სამნაირი გზა: შეკრიბო უცხოეთის და დამარცხებული თეთრი არმიის ნაწილები, შეიჭრა პოლონეთით და რუმინიით რუსეთში. ეს ნიშნავს სისხლის ღვრას. „ჩემ სინდისიერებაში არ მოიპოვება საკმაო ადგილი სხვისი სისხლის მოსათავსებლათ"-ო სწერს ავტორი. მეორე გზა, მისი აზრით, არის შიმშილის რკალის შემოვლება ბოლშევიკურ რუსეთისათვის. ეს სისულელეაო, ამბობს ის, რადგან უწინარეს ყოვლისა ამოწყდებოდა ხალხი და მხოლოთ შემდეგ ბოლშევიკების მთავრობაო. მესამე გზა: ბოლშევიკური მთავრობის ცნობა. „მე ავირჩიე მესამე გზა"-ო, აცხადებს ტოლსტოი. არის მეოთხე საშუალებაც—დაჯდე უცხოეთში და უყურო როდის გამოიდარებს. ეს გზაც რასაკვირველია ცოცხალი კაცისათვის, რომელსაც მუშაობა - შემოქმედება სწყურია, მიუღებელიაო.

მოსაზრება, რომლითაც ის ამართლებს თავის ნაბიჯს თითქმის იგივეა როგორც „სმენავეხელების". მაგრამ როგორიც არ უნდა იყოს ის, ჩვენთვის საინტერესოა პოლიტიკური მხარე მოვლენის. იმ გავლენისა და სახელის გამო, რომელიც აქვს რუსეთის სიტყვაკაზმულ ლიტერატურაში ამ დიდ ხელოვანს, მისი „განდგომის" ფაქტი მოახდენს დიდ გავლენას ემიგრაციაში და მის გარეთაც და ხელს შეუწყობს საბჭოთა რეჟიმის ყველა მოწინააღმდეგე ძალების დაშლას, მათ დემორალიზაციას. ამ მხრით არის, სხვა ანალოგიურ ფაქტებთან დამატებით, შესანიშნავი გრაფი ალექსი ტოლსტოის წერილი ჩაიკოვსკისადმი, რომელიც გადმობეჭდილია მოსკოვის „იზვესტია"-ში გაზ. „ნაკანუნედან".

ნარევი

მდგომარეობა ინდოეთში.

ჰანდის დატუსაღება ბრიტანეთის ხელისუფალთა მხრით აშკარა ომის გამოცხადება იყო ინდოეთის რევოლიუციონურ მოძრაობისათვის. ამ მოძრაობის ყველაზე გამოჩენილი ბელადები როგორც, მაგალითად, ძმები: ალი, ლალა-რაი, აბდულ-კანანი, ნერუ, როგორც ასეული დანარჩენები დატუსაღებულ იქნენ აგრეთვე. ინგლისელებს ეგონათ, რომ ძმები ალების დატუსაღება გამოიწვევდა აჯანყებას მთელს მხარეში, მაგრამ იმ მომენტში ჰანდმა გამოიყენა მთელი თავისი პირადი გავლენა იმისთვის, რომ შეეკავებია ხალხის აღშფოთება, ვინაიდან ის ფიქრობდა, რომ კამპანიას ნაციონალურ მასშტაბში წინ უნდა უძღოდეს ხანგრძლივი მომზადების პერიოდი.

როდესაც ინდოეთის ნაციონალურ კონგრესის უკანასკნელ სხდომაზე დეკემბერში 1921 წ. ინდოეთის მუსულმანების ბელადმა ხასვატ მოგანიმ წინადადება შეიტანა დაუყოვნებლივ გამოეცხადებიათ ინდოეთის დამოუკიდებელი რესპუბლიკა და რევოლიუციური ომი ინგლისის ჯარებთან, რომლებიც იმყოფებოდენ ინდოეთში, ის უარყოფილ იქნა უმნიშვნელო უმრავლესობის მიერ, რომელიც თვლიდა ასეთ ნაბიჯს ნაადრევათ, ვინაიდან საკმარისად არ იყო მოწყობილი ინდოეთის რევოლიუციონური მოძრაობა.

უკანასკნელ ხანებში ბრიტანეთის ხელისუფალნი იძულებული გახდენ გაეგზავნათ ინდოეთში ბრიტანეთის რამდენიმე პოლკი, ვინაიდან ადგილობრივ ჯარის-კაცებში (სიპაები) დაიწყო მღელვარება აჯანყების ტალღა განუწყვეტლივ გადადის ერთი პროვინციიდან მეორეში. ჯერ კიდევ ვერ მოესწროთ ბრიტანეთის ჯარებს ჩაეხშოთ მოპლის მოძრაობა, რომელიც რამდენიმე თვის განმავლობაში სასტიკ წინააღმდეგობას უწევდა, რომ დაიწყო მოძრაობა ბერილის პროვინციასა და პენჯაბში. მადრასის მიდამოებში მცხოვრებლებმა აშკარა უარი განაცხადეს გადასახადების გაღებაზე.

ჰანდის დატუსაღებამ, რომელიც მტერია ძალდატანებითი მოქმედების, და საზოგადოთ უსასტიკესი რეპრესიული პოლიტიკა ბრიტანეთის ხელისუფლებისა ინდოეთის რევოლიუციონერების მიმართ, გამოიყვანა გადამჭრელი რევოლიუციონური ბრძოლის გზაზე ინდოეთის მოძრაობის ზომიერი ელემენტებიც. ინდიური პრესა აღნიშნავს რა რომ ქვეყნის ერთად ერთ ჭეშმარიტ მეუფეთ ამ ჟამად არის ინდოეთის ნაციონალური კრება, სულ უფრო და უფრო გაბედული ტონით ლაპარაკობს რევოლიუციის აუცილებლობაზე, ძალდატანებით, მოქმედებათა აუცილებლობაზე ქვეყნის გასანთავისუფლებლად ძველ მჩაგვრელებისაგან.

(„პრავდა" № 89).

ციპები, რაც ეგზომ საჭიროა სახელმწიფოთა შორის სასურველი ურთიერთობის აღდგენისათვის.

ლოიდ ჯორჯი და შანცერი.

პარიჟი 5 მაისი (ფრანგული რადიო). გაზეთი „ტან“-ი იუწყება: საბჭოთა დელეგაცია ამ უახლოეს ხანაში გასცემს პასუხს მოკავშირეთა მემორანდუმზე. ლოიდ-ჯორჯი და შანცერი ფიქრობენ, რომ იმ შემთხვევაში თუ მემორანდუმი მიღებულ იქნა, შესაძლებელი იქნება საბჭოთა მთავრობის ცნობის საკითხის წამოყენება.

ჩიჩერინის პროტესტი.

ნაუენი. 5 მაისი (გერმანული რადიო). ჩიჩერინმა პროტესტი განაცხადა შრომის კომისიაში რუსეთის დელეგატების არ მიწვევის შესახებ.

იუგო სლავია თავს იმართლებს.

ბორდო. 5 მაისი (ფრანგული რადიო). იუგო-სლავიის დელეგაცია ჩიჩერინისათვის გაგზავნილ საპასუხო წერილში უარყოფს იმ ხმებს, თითქოს იუგო სლავიამ ხელშეკრულება დასდვა ვრანგელ თან უკრაინის წინააღმდეგ გასალაშქრებლად. იუგო-სლავიის დელეგაცია აგრეთვე უარყოფს ბრალდებას, თითქოს მას აუტანელი პირობები შექმნას ერთვნული უმცირესობათათვის — ჩერნოგორელების, კროატების და მაკედონელებისათვის.

ვალების პრობლემა.

პარიჟი. 5 მაისი (ფრანგული რადიო). ტაუფს მიეცა წინადადება მიიღოს თავმჯდომარეობა რუსეთის საკითხების შესახებ არსებული კომისიისა.

ჩიჩერინი და პაპა პიი მე-11.

რომი. 5 მაისი. (იტალიის რადიო). გაზეთ „ტამპოს“. ცნობით შესაძლებელია ჩიჩერინი გაემგზავროს რომში, სადაც იგი ინახულებს პაპა პიი მე 11.

ბორდო 5 მაისი. (ფრანგული რადიო) გენუიდან მიღებული ცნობების თანახმად პაპა პიი მე-11 მიმართავს მთელ კულტუროსან კაცობრიობას მოწოდებით. დაეხმარონ რუსეთის ხალხს.

ანტანტის დაშლა

ლოიდ ჯორჯის შიში.

გენუა, 4 მაისი (იტალიის რადიო) **ლოიდ ჯორჯმა განაცხადა: თუ გენუის კონფერენცია სასურველად ვერ დამთავრდა. აუცილებლად მოხდება განხეთქილება ანტანტის სახელმწიფოთა შორის. ამასთან ერთად წამოიჭრება საშიშროება ევროპის სახელმწიფოთა ხელახალი გადაჯგუფების შესახებ.**

სეპარატიული ხელშეკრულებანი.

ბერლინი. 5 მაისი. (რადიო) **პარიზიდან იტყობინებიან, რომ ინგლისი, იტალია, და ჩეხო-სლოვაკია მზად არიან შეკრან საბჭოთა მთავრობასთან სეპარატიული ხელშეკრულებანი მცირე ანტანტის სახელმწიფონი ამ ჟამად რუსეთის საკითხში იზიარებენ ინგლისის თვალსაზრისს.**

კონფერენციის პლენარული სხდომა

ფაქტას სიტყვა.

გენუა. 3 მაისი (იტალიის რადიო). (გადმოცემულია დაგვიანებით). 3 მაისს დილის 10 საათზე, მიპატიჟებულ სტუმრების და მრავალი ხალხის თანადასწრებით გაიხსნა კონფერენციის მეორე პლენარული სხდომა. თავმჯდომარე ფაქტამ გახსნა კრება შესავალი სიტყვით, რომელშიც საერთოდ დაახასიათა ტეხნიკურ კომისიების მუშაობა და აღნიშნა ის დაბრკოლებანი, რომელიც გადახულ იქნა განსახილველი პრობლემების გადაწყვეტის დროს. ფაქტამ დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგნაირად:

— ამ რიგად, კონფერენცია ასრულებს თავის დანიშნულებას, რომელიც მდგომარეობს საერთაშორისო ხასიათის მნიშვნელოვანი საკითხების გადაჭრაში და ისეთი მდგომარეობის შექმნაში, როდესაც ყველა ერების ინტერესები განხილული იქნება სამართლიანობისა და კანონიერების მიხედვით. ეს კონფერენცია ასრულებს ამ მიზანს და ამიტომაც ყველას ყურადღება მისკენ არის მიპყრობილი; იგი იწვევს ნდობასა და იმედებს, რომელიც დღითი დღე ძლიერდება. ჩვენ ყოველმხრივ უნდა გამოვიყენოთ ეს ნდობა. ჩვენი კრება უნდა აქეზებდეს და მაგალითს აძლევდეს ყველა ერებს. ევროპის აღდგენისათვის წარმოებული მუშაობა, რომელსაც ეხლა აწხორციელებს კონფერენცია, მით უფრო დაჩქარებით და სათანადოთ იქნება დამთავრებული, რაც უფრო მეტი მშვიდობიანობა და თანხმობა იქნება აქ გამეფებული, რაც უფრო აშკარად გამოვაჩენთ სურვილს გადავლახოთ ყველა ის აუცილებელი დაბრკოლებანი, რომელნიც დაკავშირებულნი არიან ჩვენ წინაშე გადასაწყვეტად დასმულ საკითხებთან. დღევანდლამდე მიღწეული შედეგები ცხადი და ნათელი დამამტკიცებელი საბუთია იმისა, რომ კონფერენციის მუშაობა მიმდინარეობს საერთო მისწრაფებების და ნებაყოფლობითი დისციპლინის პირობებში. ჩვენ შეგვიძლია მშვიდათ და მტკიცეთ შეუდგეთ ჩვენ მუშაობას.

ფინანსიური პრობლემა.

რომი. თავმჯდომირის სიტყვის შემდეგ კონფერენცია შეუდგა კომისიის მიერ წამოყენებულ მოხსენების განხილვას.

სიტყვა მიეცა ინგლისელ დელეგატს სერ ევანსს, რომელიც მომხსენებელი იყო იმ კომისიისა, რომელიც მუშაობდა ფულის ტრიალისა, საკომისიო ბანკებისა, გაცვლა-გამოცვლის და საზოგადოებრივი და კერძო კრედიტის საკითხების შესახებ. მომხსენებელმა დაასურათა მთელი მნიშვნელობა გასარჩევი საკითხებისა, რომელიც მას აგონებს იუსტინიანის მიერ წარმოებულ მუშაობას და უწოდა იტალიას „უფლების საფუძვლების შემქმნელი ქვეყანა.“ ევანსმა ამას დაუმატა, რომ კომისიის წინადადებებს სრულებით არ აქვს იმ წამალის ხასიათი, რომელსაც შეუძლია ყველა სენისაგან განკურნოს თანამედროვე ევროპა. მაგრამ ეს წინადადებები უტყუარი ზომებია განკურნებისათვის მიღებული. ევანსი მოითხოვდა ფულის ტრიალის სტაბილიზაციას, ოქროს ფულისტრიალის გაუმჯობესებას და აღნიშნა საემისიო ბანკების საერთაშორისო კონცორსიუმის დაწესების აუცილებლობა, რადგანაც იგი ხელს შეუწყობს ფინანსიური მდგომარეობის გაუმჯობესებას. ევანსი სოხოვდა კონფერენციას მიეღო კომისიის წინადადებანი და ამასთან ერთად განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს განსაკუთრებული მოწვევა აქვს გაგზავნილი, რადგან ამერიკა, მსოფლიოში არსებულ ოქროს მარაგის თითქმის ნახევარის მესაკუთრეა.

კამათი.

საერთო კამათის გახსნის შემდეგ სიტყვა მიეცა საფრანგეთის დელეგატს პიკარს, რომელმაც მხარი დაუჭირა კომისიის დადგენილებათა მიღების საკითხს. პიკარმა მოიყვანა მაგალითი ასაშენებელი შენობისა, რომლის შენებასაც იწყებენ საფუძვლის ჩაყრიდან და აღნიშნა, რომ კომისიის დადგენილებანი საუკეთესო საფუძველს წარმოადგენენ, მით უმეტეს, რომ კომისია მეგობრულ ხელს უწვდის მათ, ვისაც სჭირდება ეს დახმარება.

შანცერის სიტყვა.

შემდეგ ამისა სიტყვა წარმოსთქვა იტალიის გარეშე საქმეთა მინისტრმა შანცერმა, რომელმაც იტალიის დელეგაციის სახელით ფრანგულ ენაზე ილაპარაკა. შანცერის ძლიერი სიტყვა, წარმოთქმული ფრანგულენაზე, დიდი ყურადღებით იქმნა მოსმენილი. სიტყვის დამთავრების შემდეგ ორატორს ოვაციები გაუმართეს. შანცერმა აღნიშნა, რომ ფინანსიური კომისიის დაუღალავი მუშაობა უნდა ჩაითვალოს, ასე ვსთქვათ, შესავალ ნაწილად იმ ყოველმხრივ დიდი მუშაობისა, რომელიც კონფერენციამ უნდა შეასრულოს.

შანცერმა ხელმეორედ მოაგონა დამსწრეთ სერიოზულობა და დიდი მნიშვნელობა იმ ამოცანებისა, რომელიც კონფერენციას აქვს დასახული.

მთელი ქვეყნის ყურადღება მიპყრობილია ფინანსიური პრობლემის გადაწყვეტისაკენ. შანცერმა დაასრულა თავისი სიტყვა შემდეგი სიტყვებით:

— ნება მიბოძეთ, ბატონებო, ჩემი სიტყვა დავასრულო ოპტიმისტურად. ჩვენ აქ, გენუაში, შევიკრიბეთ სულ რაღაც რამოდენიმე კვირის უკან.

მაგრამ უკვე ამ ხნის განმავლობაში ჩვენ ვიხილავდით ძლიერ საინტერესო და მნიშვნელოვან საკითხებს. ჩვენ შევძელით ძალიან დიდი პოლიტიკური ხასიათის დაბრკოლების გადალახვა.

ჩველა ჩვენგანი წავიდა დათმობაზე, რომ დაგვეახლოვებია ერთმანეთისათვის თვითეულის თვალსაზრისი. ჩვენ ვმუშაობდით და ვიმუშავებთ ერთა შორის თანხმობისა და სოლიდარობის საფუძვლებზე. მე ღრმადა და მტკიცეთ დარწმუნებული ვარ ჩვენი მუშაობის ნაყოფიერებაში, რომელიც ჩაყრის საფუძველს ევროპის ცხოვრების ახალი პერიოდისას, ხალხთა შორის აქტიური თანამშრომლობისა და მთელი კაცობრიობის პროგრესის პერიოდისას.

ნეტრალურ სახელმწიფოთა დელეგატების სიტყვა.

გოლანდიის წარმომადგენელმა კეერმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ გოლანდიაში წარმოებული იქნა დიდათ მნიშვნელოვანი მუშაობა იმ პრობლემების შესასწავლად, რომელიც ეხლა განიხილა საფინანსო კომისიამ. კეერმა სავსებით დამაკმაყოფილებლად სცნო ის დადგენილებანი, რომელიც მიიღო საფინანსო კომისიამ და გამოსთქვა სურვილი იმისა, რომ კონფერენციამ განამტკიცოს ერთა შორის ნდობა და დააყენოს ევროპა აღორძინების გზაზე.

შვეიცარიის დელეგატმა განაცხადა, რომ შვეიცარიის დელეგატები სავსებით ეთანხმებიან საფინანსო კომისიის წინადადებათ. შვეიცარიის სახელით ორატორმა აღნიშნა აუცილებლობა ფულის ბაზრის კატასტროფიული მერყეობის მოსპობისა.

ჩიჩერინის სიტყვა.

რუსეთის დელეგაციის სახელით ილაპარაკა ჩიჩერინმა, რომელმაც განაცხადა, რომ საფინანსო კომისიის წინადადების მიღება წარმოადგენს იმ პირველ აქტს, რომლითაც რუსეთი, ხელახლავ, ოთხი წლის იზოლაციის შემდეგ, კვლავ შედის ევროპის სახელმწიფოთა ოჯახში. დელეგაციის სახელით ჩიჩერინმა ზოგიერთი შენიშვნები შეიტანა საფინანსო კომისიის წინადადებებში. ჩიჩერინმა აღნიშნა, რომ ეს შენიშვნები გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ რუსეთს არა აქვს ბევრი მასალები აღძრული საკითხების შესახებ ჩიჩერინმა ამას დაუმატა ისიც, რომ რუსეთის დელეგაცია იტოვებს თავისუფალი მოქმედების უფლებას განსაკუთრებით იმ წინადადებათა შესახებ, რომელნიც მოითხოვენ ერთა ლიგის ჩარევას, რომლის წევრიც რუსეთი არ არის. დასასრულ ჩიჩერინი მიესალმა იმ სიტყვებს, რომელიც წარმოსთქვა იტალიის დელეგატმა მშვიდობიანობისა და აღორძინების პოლიტიკის შესახებ და სხვათა შორის ხაზი გაუსვა იმ გარემოებას, რომ ამისათვის აუცილებლად საჭიროა საერთო განიარაღება.

რატენაუს სიტყვა.

ჩიჩერინის შემდეგ გერმანიის დელეგაციის სახელით სიტყვა წარმოსთქვა რატენაუმ, რომელმაც გამოსთქვა კმაყოფილება კომისიის მიერ წამოყენებული წინადადების შესახებ. რატენაუმ მოიყვანა ზოგიერთი ამ წინადადებათაგანი და აღნიშნა, რომ მთელ ქვეყნიერებაზე 10 მილიონი უმუშევარია. შესყიდვითი საშუალების ნაკლებობა არის მთავარი მიზეზი სამრეწველო ვაჭრობის კრიზისისა. რატენაუმ დაამთავრა თავისი სიტყვა შემდეგი განცხადებით: ქვეყანა მოელის გენუიდან არა მარტო თეორიულ დასაბუთებათ, არამედ პრაქტიკულ შედეგებსაც; იგი მოელის ნამდვილი თანამშრომლობის სტიმულს.

დადგენილება მიღებულია.

თავმჯდომარე ფაქტამ, კამათის შემდეგ, განაცხადა, ვინაიდან არავინ არ ითხოვს სიტყვას, საფინანსო კომისიის წინადადების ტექსტი უნდა ჩაითვალოს სავსებით მიღებულად.

ეკონომიის აუცილებლობა.

იტალიის ფინანსთა მინისტრმა ბერტონემ მოითხოვა სიტყვა წინადადების მე 7 მუხლის შესახებ, რომელიც ეხება სახელმწიფო ბიუჯეტის წონასწორობას და შედგენას. ბერტონემ აღნიშნა აუცილებლობა იმისა, რომ ყველა სახელმწიფომ მიიღოს სასტიკი ეკონომიის პრინციპი.

სატრანსპორტო პრობლემა.

საფინანსო პრობლემის გადაწყვეტის შემდეგ, კონფერენცია შეუდგა სატრანსპორტო პრობლემის განხილვას. სატრანსპორტო კომისიის წინადადებათა შესახებ მოხსენებით გამოვიდა ბელგიის დელეგატი ჟასპარი, რომელმაც განაცხადა, რომ კომისია თავის მუშაობაში ხელმძღვანელობდა ლონდონის ექსპერტთა მოხსენების მე-62 მუხლით. ბარერმა საფრანგეთის სახელით განაცხადა, რომ სავსებით იღებს კომისიის ყველა წინადადებას.

დადგენილებათა მიღება.

თავმჯდომარე ფაქტამ წინადადება იძლევა, მიიღონ [illegible] ყველა დადგენილებანი. ინგლისის დელეგაციის სახელით ლორდ ერიმისა და იტალიის დელეგაციის სახელით პიანეს მცირე განცხადებათა შემდეგ წინადადება მიღებულ იქნა.

ექსპერტთა კომისიის წინადადების მიღებით კონფერენციის მეორე პლენარული სხდომის წესრიგი ამოწურულია. თავმჯდომარემ სანამდის დახურავდა სხდომას მადლობა გამოუცხადა კომისიებს და მომხსენებლებს მათ მიერ წარმოებული მუშაობისათვის. ფაქტამ აღნიშნა, რომ ეს მუშაობა არის ცხადი დამამტკიცებელი იმისა, რომ გენუის კონფერენციის მოწვევა საჭირო იყო, რომლისაგან მოელიან დიდ საკაცობრიო საკითხების განხილვას. ფაქტას სიტყვებს დამსწრენი მხურვალე ტაშისცემით შეეგებნენ.

მოკავშირეთა საპასუხო ნოტა

სანტა მარგარიტა. 2 მაისი (რუსეთის დელეგაციის პრესის ბიუროს რადიო მოსკოვით). გაზეთების ცნობით, მოკავშირეთა რუსეთის საპასუხო მემორანდუმში, რამოდენიმეჯერ არის ხაზგასმული ფინანსიური დახმარების აუცილებლობა და ჩამოთვლილია თუ თვითეულ ევროპის სახელმწიფოს რამდენი და როგორი ფორმაში შეუძლია მისცეს სესხი რუსეთს. მემორანდუმში ჩამოთვლილია ათეული და ასეული მილიონი ფრანკი, ფუნტი და ლირა, ათასი ორთქლმავალები, ვაგონები და ავტომობილები და აღნიშნულია, რომ ყოველივე ეს მიეცემა რუსეთს მაშინ, როდესაც საბჭოთა რუსეთი მოახერხებს აღადგინოს ბურჟუაზიული ევროპის ნდობა.

საფრანგეთი ამას უმატებს ყოფილ მესაკუთრეებთათვის ზარალის ანაზღაურების მოთხოვნილებას. ამ რიგად მემორანდუმი გვაგონებს იმ მელიას რჩევას, რომელიც ურჩევდა ყვავს პირის გაღებას, რათა გავარდნოდა მსხვილი ინდუსტრია.

სანტა მარგარიტა. 3 მაისი (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო: მოსკოვით). ბელგიელებს უკავიათ უკიდურესი პოზიცია რუსეთის მოთხოვნილებების საკითხში. რადგანაც ბელგიელები უმცირესობაში დარჩნენ, მათ მიმართეს პუანკარეს დახმარებას, რომელმაც თითქოს მოითხოვა მემორანდუმის გადაცემის გადადება. ლოიდ ჯორჯმა განაცხადა, რომ ევროპის კაპიტალი განიცდის კრიზისს და თუ რუსეთმა ვერ შესძლო მისი მიზიდვა იგი წავა სამხრეთ ამერიკაში. დიდი ბრიტანეთი უკვე მესამეჯერ სცდილობს შეუთანხმდეს რუსეთს: პირველად პრინცების კუნძულზე, შემდეგ წითელი არმიის ვარშავზე შეტევის დროს და ეხლა გენუაში.

ირკვევა, რომ მემორანდუმში არ არის მოხსენებული ევროპის სახელმწიფოთაგან რუსეთისათვის პირდაპირ სესხის მიცემა.

დღეს რუსეთის დელეგაციას გადასცეს მოკავშირეთა მემორანდუმი რუსეთის საკითხის შესახებ. რუსეთის დელეგაცია შეუდგა თავის პასუხის შემუშავებას.

კონფერენციის გარშემო

საფრანგეთის პოზიცია.

უმაღლესი საბჭო.

ნაუენი. 5 მაისი. (გერმანული რადიო). ინგლისური პრესის ცნობით ლოიდ-ჯორჯი მოითხოვს, რომ იმ სახელმწიფოთა თათბირი, რომელთაც ხელი მოაწერეს ვერსალის ხელშეკრულებას, მოიწვიოს გენუაში 31 მაისამდის. ჰავასის სააგენტოს ცნობით პუანკარე წინააღმდეგი იქნება მონაწილეობა მიიღოს უმაღლეს საბჭოს მუშაობაში 31 მაისამდის.

ბარტუს მადლობა გამოუცხადეს.

ბერლინი. 5 მაისი. (გერმანული რადიო). ჰავასის სააგენტო ოფიციალურად იტყობინება, რომ საფრანგეთის მთავრობამ მადლობა გამოუცხადა ბარტუს გენუაში მისი მოქმედების შესახებ. დადგენილ იქნა მომავალში, გენუაში, იმოქმედონ ბელ-

ძველი დავა ახალ ფორმაში

(დასასრული. იხ. „კომ.“ № 100).

III. გლეხობა და თანამედროვე რევოლიუციონური მოძრაობა

როგორც დავინახეთ, გლეხობა შეიძლება ჩათრეულ იქნეს რევოლიუციის ფერხულში და, ამ გვარათ, პროლეტარიატს შეუძლია გამოიყვანოს ის თავის მოკავშირეთ ბრძოლაში ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ეს კიდევ აუცილებლათ საჭიროცაა, განსაკუთრებით იმ ქვეყნებში, სადაც პროლეტარიატი მეტათ მცირე ნაწილს შეადგენს საერთო მცხოვრებთა რიცხვიდან.

ეს მშვენივრათ ქონდა წარმოდგენილი ფრ. ენგელსს და ამიტომ იყო, რომ ჯერ კიდევ 1847 წ. სწერდა: „ამ გვარათ პირდაპირ თუ არა პირდაპირ (რევოლიუცია) დააწესებს პროლეტარიატის პოლიტიკურ ბატონობას. პირდაპირ ინგლისში, სადაც პროლეტარიატი შეადგენს ხალხის უმრავლესობას. არა-პირდაპირ, საფრანგეთში და გერმანიაში, სადაც ხალხის უმრავლესობას შეადგენენ არა მარტო პროლეტარები, არამედ წვრილი გლეხებიცა და ბურჟუებიც, რომლებიც მხოლოთ იწყებენ გადასვლას პროლეტარიატის შემადგენლობაში, რომლებიც სულ უფრო და უფრო დამოკიდებული ხდებიან პროლეტარიატისაგან თავის პოლიტიკურ ინტერესებისათვის და იძულებული ხდებიან მაშასადამე გაყვენ პროლეტარიატის მოთხოვნებს“. („Принципы коммунизма“ გვ. 22).

ამაზე კიდევ უფრო სიცხადით ის ლაპარაკობს ბროშურაში: „Крестьянский вопрос во франции и Германии“. „ჩვენთვის უნაყოფო იქნებოდა, — სწერს ის, — დაგვეცადა ამ (ე. ი. სოციალისტურ— კ. ქ.) გარდაქმნისათვის იმ დრომდე, როდესაც კაპიტალისტური წარმოება ყოველგან მივა განვითარების იმ უკიდურეს წერტილამდე, როდესაც უკანასკნელი წვრილი ხელოსანი და უკანასკნელი წვრილი გლეხი მსხვერპლათ შეეწირება მსხვილ წარმოებას“. (გვერ. 42).

როგორ არ წითლდება ამის შემდეგ ამხ. **ხ.—ელი,** როდესაც ის განძრახ ცალმხრივათ სწერს: „მარქსისტებისათვის მეტათ მარტივათ იჭრება ეს საკითხი. კაპიტალის კონცენტრაცია სოფლათ და ქალაქათ მოახდენს მთელი საზოგადოების ორ კლასად დაყოფას. გლეხობის ხელიდან გამოცლება ადგილ მამული და პროლეტარიატის კადრს შეუერთდება, გარდამავალი პერიოდისათვის პროლეტარიატი **ხელთ იგდებს** ძალა-უფლებას და მოახდენს „ექსპროპრიატორთა ექსპროპრიაციას“. („ტრიბუნა“ № 174).

ამის შემდეგ მან დიდი რიხით დ ყველას გასაგონათ განაცხადა: „სოციალური ცხოვრების სირთულე უფრო ფართო გამოდგა ვიდრე მარქსისტული მოძღვრების ჩარჩოებიო“. მე კი მგონია, რომ ამ შემთხვევაში მისი მსჯელობისა და აზროვნების „ჩარჩოები“ გამოდგა უფრო ვიწრო.

მაგრამ რომ მკითხველს ნათელი წარმოდგენა ექნეს ჩვენს, ე. ი. მარქსისტების **თეორეტიულ** გამოკვლევაზე სოციალური ცხოვრების განვითარების შესახებ, ერთი მხრით, და **პრაქტიკულ** მოღვაწეობაზე მეორე მხრივ ჩვენ საჭიროთ მიგვაჩნია მოვიყვანოთ აქ კ. კაუცკის აზრი ამის შესახებ.

ის ეხება რა საშუალო კლასებს სწერს: „თეორეტიკს, რომელსაც სურს გამოიკვლიოს თანამედროვე საზოგადოების ცხოვრებაში გაბატონებული ძირითადი კანონები, არ უნდა ანცვიფრებდეს აუარებელი ასეთი მოვლენები (ე. ი. რომ პოლიტიკურ ბრძოლაზე დიდ გავლენას ახდენენ გლეხები, ხელოსნები, წვრილი ვაჭრები და სხვ.). მან უნდა გამოიკვლიოს წარმოების კაპიტალისტური წესი მისი წმინდა სახით, მისი კლასიკური ფორმებით და სრულიად განთავისუფლებული უნდა იყოს მის გარშემო არსებულ ნაშთებისა და სხვა წარმოების ფორმების ჩანასახებისაგან. ხოლო პრაქტიკული პოლიტიკა კი, პირიქით, დიდ შეცდომაში ჩავარდებოდა თუ კაპიტალისტებსა და პროლეტარებს ჩასთვლიდა ერთად ერთ ფაქტორებად, რომლებიც მოქმედებენ თანამედროვე საზოგადოებაში და არ მიაქცევდა ყურადღებას ყველა დანარჩენ კლასებზე.

„მარქსის „კაპიტალი“ ეხება და მსჯელობს მხოლოთ კაპიტალისტებსა და პროლეტარებზე. „მე 18 ბრიუმერასა“ და „რევოლიუცია და კონტრრევოლიუცია გერმანიაში“ კი, იმავე ავტორისაა, პირიქით, კაპიტალისტებისა და პროლეტარების გვერდით როლს თამაშობენ აგრეთვე მონარქები და ბოსიაკები, გლეხები და წვრილი ბურჟუები, ბიუროკრატები და კარის-კაცები, პროფესორები და სტუდენტები“. („Аграрный вопрос“, გვერ. 7).

აი, როგორც უნდა ესმოდეს ყველას განურჩევლათ მიმართულებისა მარქსენგელსის მოძღვრება დასახელებულ შემთხვევაში. ის კი, რასაც ამხ. **ხ.—ელი,** გადმოგვცემს მარქსიზმი კი არა ზღაპარია და არავითარი საერთო რამ არა აქვს მასთან. ეს კარგათ უნდა დავიმახსოვროთ, რათა უფრო ადვილათ გავიგოთ, თუ როგორ როლსა თამაშობს გლეხობა თანამედროვე მსოფლიო რევოლიუციონურ მოძრაობაში და რატომ.

მოვუსმინოთ **ხ.-ელს,** რომელიც გადმოგვცემს და გვიხსნის, თუ რა ადგილი უკავია გლეხობას თანამედროვე სოციალისტურ მოძრაობაში და როგორ ამტყუნებს ის მარქსიზმს:

„მარქსისტული თვალსაზრისით კი ინგლისის მუშათა კლასი, როგორც უაღრესათ კაპიტალისტური ქვეყნის მუშათა კლასი, **ავანგარდი** უნდა ყოფილიყო სოციალური რევოლიუციის (უნდა ვიფიქროთ, აქ ნაგულისხმებია **სოციალისტური** რევოლიუცია, ვინაიდან ინგლისში მხოლოთ ასეთი რევოლიუციაა მოსალოდნელი. კ. ქ.) მაგრამ ენგელსის დროის ეპოქას რომ თავი დავანებოთ დღევანდელი რევოლიუციონური მოძრაობა კიდევ უფრო ააშკარავებს ამ დებულებას, რომ მხოლოთ პროლეტარიატი არ შეიძლება იყოს სოციალური რევოლიუციის მებაირახტრე. დღესაც ინგლისის, საფრანგეთის, ამერიკის და სხვა იმპერიალისტური ქვეყნების მუშები **ნაკლებათ ფიქრობენ** რევოლიუციაზე, მაშინ, როდესაც რუსეთის გლეხები წითელი დროშით თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ კაპიტალისტური სამყაროს წინააღმდეგ.

„არა თუ დღეს, არამედ მე-20 საუკუნის დასაწყისში რევოლიუციები **უფრო ხდება** გლეხურ აღმოსავლეთში (ოსმალეთის რევოლიუცია, ინდოეთის მოძრაობა, ჩინეთის და რუსეთის მოძრაობა და სხვ.), ვიდრე პროლეტარულ დასავლეთში“. („ტრიბუნა“ № 174, კურსივი ჩვენია—კ. ქ.).

ეს გრძელი ამონაწერი ბევრს რამეს გვეუბნება და გვაგებინებს, თუ როგორი წარმოდგენა ქონებია **ხ.—ელს** დღევანდელ და წინანდელ რევოლიუციონურ ვითარებაზე.

ჯერ ერთი, „მარქსისტული თვალსაზრისით ინგლისის მუშათა კლასი, როგორც უაღრესათ კაპიტალისტური (და აუარებელი კოლონიების მფლობელი, დავუმატებთ ჩვენ) ქვეყნის მუშათა კლასი“, ვერ იქნებოდა ავანგარდი სოციალისტური რევოლიუციისა, ამას „ენგელსიც კი აღნიშნავდა“, როგორც თვითონ ამბობს, ვინაიდან „იმპერიალისტური ქვეყნის პროლეტარიატისათვის ნაციონალური წარმოება (უკეთ რომ ვსთქვათ, მონოპოლისტური კაპიტალიზმი) პრივილეგიებსაც ქმნის“.

მეორეთ, ის ამბობს, რომ „რევოლიუციები უფრო ხდება გლეხურ აღმოსავლეთში (ოსმალეთის რევოლიუცია, ინდოეთის მოძრაობა, ჩინეთის და რუსეთის მოძრაობა და სხვ.) ვიდრე პროლეტარულ დასავლეთშიო“. სიმართლე უნდა ვთქვათ, ჩვენ არ ვიცით, ვინ წერს ამას: პოლიტიკური მოაზროვნე, რომელსაც ცოტათი მაინც გაეგება საზოგადოებრივი ცხოვრების ასავალ დასავალი, თუ პოლიტიკური ანბანის სრულებით არმცოდნე, ვინაიდან ის ბურჟუაზიული რევოლიუციები (ოსმალეთის, ჩინეთის და სხვ.), რომლებიც ხდებოდა „გლეხურ აღმოსავლეთში“, უკვე დიდი ხანია დასრულდა „პროლეტარულ დასავლეთში“. ამის მოწმეთ თვითონ ისიც გამოდგება, რადგანაც უკანასკნელ წერილში აშკარათ ამბობს (რასაკვირველია, ვითომცდა ჩვენს საწინააღმდეგოთ), რომ „ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზიულმა რევოლიუციებმა გაიარა თავისი განვითარების ციკლიო“.

მაშ რაშია საქმე?

საქმე იმაშია, რომ ამხ. **ხ.—ელს** სურს, რათაც არ უნდა დაუჯდეს დაანახვოს მკითხველს მარქსიზმის „გაკოტრება“ და ამ მიზნისათვის „ხავსსაც კი ეკიდება“.

მარქსიზმი, მეცნიერული კომუნიზმი, რომლის გაქარწყლება ტყვილად აუღია თავზე მას, ეს ის მოძღვრებაა, რომელსაც რეალურ სინამდვილესთან აქვს საქმე, იკვლევს მის ნამდვილ შინაარსს და მის გარჩევიდან გამოყავს თავისი დასკვნები. ამ მოძღვრებას არასდროს არ ქონებია ერთხელ და სამუდამოთ გამზადებული რეცეპტი. ის ყოველ კონკრეტიულ შემთხვევაში იკვლევს შექმნილ ვითარებას, არკვევს კლასიურ ძალთა ურთიერთ განწყობილებას და ამისდა მიხედვით გამოყავს თავისი დასკვნები ამა თუ იმ მდგომარეობაზე.

გადავხედოთ ჩვენ სწორეთ ასეთი ჭეშმარიტად მარქსისტული სათვალეებით რუსეთის სინამდვილეს, სადაც „გლეხები წითელი დროშით თავგანწირულ ბრძოლას აწარმოებენ“, და აღმოსავლეთის ქვეყნების სინამდვილესაც, სადაც „გლეხკაცობა რევოლიუციონურათ არის განწყობილი“.

ვინ არ იცის თუ რას წარმოადგენდა რუსეთის დიდი იმპერია 1917 წ. თებერვლის რევოლიუციამდე. შეიძლება დანამდვილებით ითქვას, რომ ის ფაქტიურათ რომანოვებისა და რამდენიმე სხვა გვარის მსხვილ **მემამულეთა** კერძო საკუთრება იყო. რუსეთის თითქმის ყველა მიწები სწორეთ ამ რომანოვებისა და მსხვილი მემამულეების ხელში იყო, იმ დროს როდესაც საწყალი, დაბეჩავებული და გაღატაკებული ას მილიონიანი გლეხობა სულს ღაფავდა და სასტიკათ იტანჯებოდა ამ მემამულეთა რკინის მუხრუჭების ქვეშ.

შესცვალა თუ არა ამ მხრივ **ფაქტიურათ** გლეხობის მდგომარეობა ამათივე სასარგებლოთ თებერვლის ბურჟუაზიულმა რევოლიუციამ? არა, არ შეუცვლია. გლეხი ისევ **ძველებურ** მდგომარეობაში იმყოფებოდა და მემამულე კი ისევ ძველებურადვე ფლობდა თავის ვებერთელა მამულს.

ერთი სიტყვით თებერვლის რევოლიუციამ არ გადასჭრა აგრარული საკითხი, ის საკითხი, რომელიც ყოფნა არ ყოფნის საკითხია რუსეთის ორ მილიონიან გლეხობის და რომელზედაც დამოკიდებული იყო და არის რუსეთის რევოლიუციის განვითარების ბედიც.

გლეხობა კი გადაცმული ჯარისკაცის ფარაჯაში სასოებით მოელოდა ამას და სწორეთ ამისათვის იცავდა ის რევოლიუციასა და მის მონაპოვართ ყოველგვარ თავდასხმისაგან.

მაგრამ, როგორც ვთქვით, თებერვლის **ბურჟუაზიულმა** რევოლიუციამ ვერ გადასჭრა ეს და დაუტოვა სამემკვიდროთ პროლეტარულ რევოლიუციას, რომელსაც უპირველესათ ყოვლისა ძირ-ფესვიანათ უნდა ამოეგლიჯა ფეოდალიზმური და საზოგადოთ ბატონ-ყმობის ყოველგვარი ნაშთები, რომლებიც არ გაუქარწყლებია ბურჟუაზიულ რევოლიუციას.

და მართლაც ოქტომბრის პროლეტარული რევოლიუციის ერთი ამოცანათაგანი სწორეთ ეს მიწის საკითხი იყო. მან წამოაყენა სამი უმთავრესი ლოზუნგი: საბჭოთა ხელისუფლება, ზავი და მემამულეებისათვის მიწების ჩამორთმევა გლეხებზე გადასაცემათ. და კიდევაც მოიყვანა სისრულეში ეს მან: მეორე დღესვე გამოსცა პროლეტარულმა ხელისუფლებამ დეკრეტი მიწის შესახებ, რომლის მიხედვითაც ერთმევოდათ მიწები მემამულეებს, იქაურ „პომეშჩიკებს“ და ცდილობდა რუსეთის მშრომელი გლეხების ხელში.

ეს უდიდესი ნაბიჯი, რომელიც გადადგმულ იქნა დიდი პროლეტარული რევოლიუციის მიერ, არ შეიძლებოდა შეუმჩნევლათ ჩატარებულიყო და არ გამოეღო შესაფერისი ნაყოფი. რუსეთის გლეხობას არ შეეძლო არ ეგემა პროლეტარული რევოლიუციის სიტკბოება იმ მხრივ, რომ მან მიიღო მიწა და განდევნა მემამულე— „პომეშჩიკი“, და არ ამოდგომოდა ამ რევოლიუციას გვერდში „წითელ დროშით ხელში“ ერთგულ დამცველთა და დარაჯათ.

რასაკვირველია ამ შემთხვევაში ის არ გახდარა უეჭველათ კომუნისტური, მაგრამ რამდენათაც ის ხედავდა ამ რევოლიუციაში, **თავის რევოლიუ**ციასაც, **აგრარულ** რევოლიუციასაც, უეჭველათ მის ურთგულეს დამ ველათა და დარაჯათ გამოდიოდა.

და დღეს სრულიად არავითარი გასაკვირველი არაა სწორეთ რომ „მარქსისტული თვალსაზრისით“, რომ „რუსის გლეხს წითელი დროშა უჭირავს ხელში“. ამის არ გაგება მხოლოდ პოლიტიკურათ სრულიად ბეცსა და უვიც ადამიანს შეუძლია.

ასევე ითქმის აღმოსავლეთის ჩამორჩენილ ქვეყნების გლეხობის შესახებაც.

ამხ. **ხ—ელი** გვისაყვედურებს ჩვენ რომ არაფერი არ ვსთქვით იმის შესახებ თუ როგორ მოვიდა „კაპიტალიზმის განვითარება კონკურენტულ კაპიტალიდან ფინანსიურ კაპიტალის ფორმამდე“. მართალია ჩვენ არაფერი არ ვსთქვით და სრულებითაც არ შევეხებივართ მას, მაგრამ ეს მხოლოდ იმიტომ, რომ მას პირდაპირი კავშირი არ ქონებია იმ კითხვებთან, რომლებსაც ჩვენ ვარჩევდით: ეს სრულებით არაფერს არ გვეუბნება იმის შესახებ, რომ წარმოადგენენ თუ არა ერთ კლასს, სახელდობრ **მშრომელთა** კლასს გლეხები და პროლეტარები, ანდა გლეხობა კომუნისტურია თუ არა.

აღსანიშნავია, რომ **ხ—ელი** ხედავს მონოპოლისტურ კაპიტალიზმს და მთავარ ყურადღებას აქცევს **უმთავრესათ მომხმარებელთა** ექსპლოატაციის მომენტს, ხოლო უფრო **ნაკლებათ** კი მის მიერ მთელი მსოფლიოს ხელახლა განაწილებას იმპერიალისტურ ქვეყნებს შორის, რაიცა კიდევ უფრო აძლიერებს და ამწვავებს აღმოსავლეთის და საზოგადოთ კოლონიალურ ხალხების ეროვნულ და ეკონომიურ ჩაგვრას.

ჩვენთვის კი ამ შემთხვევაში, როდესაც ვარჩევთ აღმოსავლეთის ქვეყნებში გლეხების ენერგიულ მონაწილეობას რევოლიუციონურ მოძრაობებში, სწორეთ ამ უკანასკნელს აქვს მთავარი მნიშვნელობა, ვინაიდან, როგორც ჰილფერდინგი ამბობს, ეს იწვევს კოლონიალურ ჩამორჩენილ ხალხებში „თანდათან გაძლიერებულ წინააღმდეგობას და აქეზებს ნაციონალურ თვით შეგნებისათვის მოსულთა საწინააღმდეგოთ“.

ამ მონოპოლისტურმა კაპიტალიზმმა შეაჩერა და გაყინა ჩამორჩენილ კოლონიალურ ხალხების პოლიტიკური და ეკონომიური განვითარება და ამ გვარათ მოუსპო მათ შეძლება მისულიყვნენ საზოგადოებრივი განვითარების იმ დონემდე, რაქამდისაც მისულა ის დღეს ევროპაში. შედეგათ ამას მოჰყვა ჩამორჩენილი ხალხების კიდევ უფრო მეტად დამორჩილება და დამონება იმპერიალიზმის მიერ და უბრალო საწველ ფურათ გადაქცევა.

ვერსალის „სამშვიდობო“ ხელშეკრულება რომელიც შედეგია მსოფლიო იმპერიალისტური ომის, საუკეთესო მაგალითია იმის, თუ როგორ ინაწილებენ ურთიერთ-შორის „გამარჯვებული“ იმპერიალისტები ამ ჩაგრულ ხალხებს მათგან უკანასკნელ სისხლის გამოსაწოვათ.

მაგრამ სწორეთ ამ იმპერიალისტურმა ომმა მეორეს მხრივ დიდი სამსახური გაუწია კოლონიალურ, განსაკუთრებით, შავკანიან ხალხებს იმ მხრივ, რომ კოლონიალურმა ჯარებმა რომლებიც შედგებიან სწორეთ ამ შავკანიანებისაგან, და რომლებიც თავგამოდებით იბრძოდენ მათი „მფარველი“ მთავრობების ინტერესებისათვის, ომის დასრულებისას აშკარათ დაინახეს, თუ როგორ პირუტყვივით მიერეკებოდენ მათ ეს იმპერიალისტური მთავრობები მათსავე მდგომარეობაში მყოფ ხალხების საჟლეტათ.

ამ გვარათ მათში სულ უფრო და უფრო მატულობდა პროტესტის სული იმპერიალისტების სისაძაგლეთა წინააღმდეგ. ისინი უკვე ვეღარ ითმენდენ მეტს მათს ჩაგვრასა და ყვლეფას, და ბუნებრივია, რომ მათ ასეთ სულიერ განწყობილებას უნდა გამოსავალი ენახა.

მართლაც ჩვენ დღეს უკვე აშკარათ ვხედავთ, თუ როგორ თავგანწირულ ბრძოლაში ჩაებენ ეს „გლეხური ქვეყნების“ ხალხები უცხოელების წინააღმდეგ, რომლებსაც არაფრით არ ინდობენ (ვამბობთ უცხოელებს და არა კაპიტალისტებს, თუმცა ეს უცხოელები გამონაკლისს გარდა სწორეთ რომ კაპიტალისტებია, ვინაიდან ისინი არჩევენ კაპიტალისტებსა და პროლეტარებს კი არა, არამედ მოსულთა და მკვიდრ მცხოვრებთ). ამის საუკეთესო მაჩვენებელია მოძრაობა ინდოეთში, კორეაში, აფრიკაში, ჩინეთში ოსმალეთის ეროვ-

ამხ. ფილიპე მახარაძეს

ძღვნად

მუდამ ძგერდა შენი გული
ჩაგრულთ კერის დასაცავად.
ბოროტების დასათრგუნათ,
დასაფერფლად, დასაწვავად.
მოუხმობდი ყველა ჩაგრულს,
რეკდი ზარებს ცეცხლის ხმებით,
შორს რჩებოდა დაღონება
ჭირს ხვდებოდი ალტაცებით.
და დღესაც კვლავ იმავ ხმებით
რეკავ, რეკავ ცეცხლის ზარებს—
დაჩაგრულებს უხარიათ
მტერს—აშინებს, აზანზარებს...
ჩაგრულთ კერის დასაცავად
დღეს კვლავად ძგერს შენი გული—
მათში არის შენი ყოფნა,
შენი ტრფობა სიყვარული.

Petrosa.

გიასთან სრულ კონტაქტში. გადაწყვეტილ იქნა ბელგიასთან ერთად უარი სთქვან იმ კონტრ-მემორანდუმის ხელის მოწერაზე, რომელიც გადაეცა საბჭოთა დელეგაციას. იმავე ჰავასის სააგენტოს ცნობით არავითარი იმედი არ არის იმისა, რომ ეს დადგენილება იქნება შეცვლილი.

უარყოფენ.

ბერლინი. 5 მაისი (გერმანული რადიო). ბელგიის მთავრობა უარყოფს ხმებს, თითქოს მას საიდუმლო ხელშეკრულება შეეკრას საფრანგეთთან გერმანიის საწინააღმდეგოთ შეთანხმებული მოქმედებების დასაწყებად, რათა უზრუნველ ყოფილ იქნეს საოკუპაციო ჯარის მდგომარეობა.

საფრანგეთის უფლებები.

ბერლინი. 5 მაისი (ფრანგული რადიო). საფრანგეთის მთავრობამ განიხილა საკითხი საგარანტიო ხელშეკრულების შესახებ. დადგენილ იქნა შეუერთდენ მას იმ შენიშვნით, რომ საფრანგეთის ყველა უფლებები ვერსალის ხელშეკრულების მიხედვით სავსებით დაცული და უზრუნველ ყოფილი იქნება.

ბარტუს დაბრუნება

რომი. 5 მაისი (იტალიის რადიო). 6 მაისს პარიზიდან გენუაში დაბრუნდება ბარტუ.

საფრანგეთი ეშმაკობს.

გენუა. 5 მაისი. (იტალიის რადიო). საფრანგეთის მთავრობამ ბარტუს საინტერესო მოხსენების შემდეგ დაადგინა, რომ რუსეთის დელეგაციისათვის გადაცემული კონტრ-მემორანდუმს შეუერთდეს იმ შემთხვევაში, თუ მას მიიღებს ბელგიის დელეგაციაც.

ელიან პასუხს.

გენუა 4 მაისი (იტალიის რადიო). კონფერენციის ახლო წრეებში დარწმუნებულნი არიან, რომ რუსეთის დელეგაცია გადასცემს მოკავშირეთ პასუხს მიმდინარე კვირის დასასრულში.

გერმანია და იტალია.

გენუა 4 მაისი (იტალიის რადიო). 3 მაისს საღამოს კონფერენციის თავმჯდომარე ფაქტა გაემგზავრა რომში რომ დაესწროს პარლამენტის გახსნას. გამგზავრების წინ ფაქტა დაესწრო იმ სადილს, რომელიც მის საპატივსაცემლოდ გამართა გერმანიის დელეგაციამ.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

ამხ. ზინოვიევი გენუის კონფერენციის შესახებ.

მოსკოვი 6 მაისი. (რადიო). სამთამადნო მუშათა სრულიად რუსეთის ყრილობის 4 მაისის საღამოს სხდომაზე, გენუის კონფერენციასთან დაკავშირებით საბჭოთა რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ, მოხსენებით გამოვიდა ამხ. ზინოვიევი: „ჩვენმა დელეგაციამ გენუაში, სთქვა ამხ. ზინოვიევმა, ბრწყინვალედ დაიჭირა გამოცდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი მტრები ჩვენ გვახასიათებენ, როგორც ბარბაროსებს, ბურჟუაზიული დელეგატები უყურებენ საბჭოთა ქვეყნის დელეგაციას არა ზევიდან, არამედ პირიქით ჩვენ დელეგაციას უჭირავს ხელში ინიციატივა“.

ამხ. ზინოვიევი შეჩერდა ჩიჩერინის, დიდ ისტორიულ მნიშვნელობის მოთხოვნილებაზე განიარაღების შესახებ. „ეს მოთხოვნილება, სთქვა ამხ. ზინოვიევმა, წამოაყენა ჩვენი რესპუბლიკის წარმომადგენელმა საერთაშორისო კონფერენციაზე. მან ხელად მიიღო ნათელი რევოლიუციონური ხასიათი, და მსწრაფლ გამოააშკარავა ბურჟუაზია, და აგრეთვე მე-2-ე ინტერნაციონალის მომხრეები, რომლებმაც გამოამჟღავნეს მათი ნამდვილი სახე.

ბევრი ფიქრობს, რომ ბარტუ ერთია და ლოიდ ჯორჯი მეორე. ნამდვილათ კი გენუით თამაშობს ნოტებზე ერთი განსაზღვრული კამპანია, რომელშიც ბარტუ ასრულებს ბოროტი ბიძის როლს, და ლოიდ ჯორჯი კი დამთმობი ბაბუისას. კონფერენციის ერთ მნიშვნელოვანთაგან საკითხმა—ბურჟუაზიულ დელეგატების მოთხოვნილებამ ვალების გადახდის შესახებ, გამოიწვია ჩვენი კონტრ-სახივარი 50 მილიარდ მანეთისა. ამ ჩვენ განცხადებისადმი დელეგატები ფიქრობდენ ირონიულად მოპყრობას, სთვლიდენ რა მას არასერიოზულად და დარწმუნებული იყვნენ, რომ ჩვენ წავიდოდით დათმობაზე. ჩვენ გადაჭრით გავაცხადეთ საპროგრამო დეკლარაციაში, რომ უარს ვიტყვით დათმობებზე იმ შემთხვევაში, თუ ჩვენს მოთხოვნილებებს გვერდს აუვლიან. გენუის კონფერენცია შეიძლება ჩაიშალოს უმთავრესად იმის გამო, რომ მოითხოვენ ბელგიის, ინგლისის და საფრანგეთის კაპიტალისტებისთვის მათი ყოფილი საკუთრების დაბრუნებას. საქმე ეხება დონის ქვანახშირის რაიონს, ნავთის და სამთამადნო რაიონებს, და რუსეთის ცენტრალურ სამრეწველო რაიონის ბევრ საწარმოო დაწესებულებებს მათ სურთ მიაღწიონ იმას, რომ რევოლიუციამ დაუბრუნოს მათ მათი საკუთრება, და თუ რუსეთის დელეგაცია არ დათანხმდება ამას, მაშინ კაპიტალისტები მზად არიან ჩაშალონ კონფერენცია, რომელიც მათ მოიწვიეს ევროპის აღსადგენად

განხეთქილება გენუაში შექმნიდა საბჭოთა რესპუბლიკისათვის მნიშვნელოვან დაბრკოლებებს, ვინაიდან ინტერვენციის შესაძლებლობა არ იქნებოდა თავიდან აცდენილი. მაგრამ ამაზე ისინი კბილებს დაიმტვრევენ. რასაკვირველია, შეთანხმება დააჩქარებდა ჩვენი სახალხო მეურნეობის აღდგენის პროცესს. საკუთრება, რომლის დაბრუნებას ჩვენგან მოითხოვენ ფასდება 6 თუ 8 მილიარდ მანეთად, ხოლო მისი მნიშვნელობა ნამდვილად უფრო მეტია. დონის აუზის, ნავთის და მთის საწარმოო რაიონებში საკუთრების აღდგენა წააგავს იმ მაგალითს, რომ მისცე თითი რომლის შემდეგაც დაგიჭერენ მთლად ხელს. საკუთრების აღდგენა ნიშნავს, რომ ხვალ გადასცე რკინის გზები, რომელიც სათბობ რესურსებთან არის დაკავშირებული, ხოლო ზეგ უსაუულოდ დადგება საკითხი მიწების დაბრუნების შესახებაც. თუ ჩვენ დავაკმაყოფილებთ ინგლისის კაპიტალისტებს, მას შემდეგ უნდა დავაკმაყოფილოდ რუსეთის კაპიტალისტებიც. ამისათვის გადავწყვიტეთ ამ საკითხში არაფერი არ დაუთმოთ. ჩვენ არ შეგვიძლია დათმობა მაშინ, როცა დიპლომატიურ ფორმებში ჩვენგან მოითხოვენ საბჭოთა რესპუბლიკის თავს“.

როცა რუსეთ გერმანიის ხელშეკრულებას შეეხო, ზინოვიევმა სთქვა: „დიდი კოოპერაციის შექმნით, ას მილიონიანი მიწადმოქმედების ქვეყანა და გუმბერაზი 60 მილიონი მრეწველობის სახელმწიფო გახდებიან ქვეყნის უდიდეს ძალად“.

დასასრულ ამხ. ზინოვიევმა სთქვა: „თუ ხვალ წარმოგვიდგენენ მისაღებ წინადადებებს ჩვენ მას მივიღებთ. თუ ისინი ძველ მოთხოვნილებებს დაეყრდნობიან, ჩვენ ვეტყვით მათ: არა, არა და არა“. ამხ. ზინოვიევის საბოლოო სიტყვას შეეგებენ მხურვალე ტაშის ცემით. ყრილობამ გაუგზავნა მისასალმებელი რადიო ჩიჩერინს.

ფასიანი სკოლა.

მოსკოვი. 5 მაისი, რადიო. საგუბერნიო სოციალუზრუნველყოფის განყოფილებათა სრულიად რუსეთის კონფერენციაზე ამხ. ლუნაჩარსკიმ განაცხადა: „ჩვენ იძულებული ვხდებით აღვადგინოთ სკოლების საეროობო და ქალაქის თვითმართველობათა ხარჯზე შენახვა, რადგანაც თვითდაბეგვრის საშვალებებით სკოლას არსებობა არ შეუძლია“, სკოლების განსაზღვრულ კატეგორიაში „შემოღებული იქნება სწავლის ფული. გადასახადი სახალხო განათლების კომისარიატი ფიქრობს, რომ საგლეხო სკოლები და აგრეთვე მცხოვრებთა ღარიბისა ნაწილი განთავისუფლებული უნდა იქნენ სწავლის ფულის გადასახადისაგან კონფერენცია შეიმუშავებს სათანადო კანონ-პროექტს.

ნული მოძრაობა, რომელსაც სათავეში უდგას ქემალი, და რომელიც მიმართულია „დასავლეთ ევროპის კაპიტალისტების“ წინააღმდეგ.

ამიტომაც იყო, რომ ჩვენ ვსწერდით: „ისინი ახდენენ ეროვნულ-ბურჟუაზიულ რევოლიუციებს შინაურ ბეგებისა და დასავლეთ ევროპის კაპიტალისტებისაგან განსათავისუფლებლათ“. ამაზე ამხ. **ხ**—ელი გვიპასუხებს: **„ჩვენ მეტს არაფერს ვამბობთო“** (კურსივი ავტორისაა კ.ა) და მუდამ იმას იმეორებს, რომ გლეხები ბეგებისა და კაპიტალისტების წინააღმდეგ იბრძვიანო. თუ ის გარემოება, რომ აღმოსავლეთის დაჩაგრული ხალხები იბრძვიან **„შინაურ ბეგებისა და დასავლეთ ევროპის** კაპიტალისტების წინააღმდეგ, მაჩვენებელია იმისი, რომ ისინი კომუნისტები არიან, მაშინ ყოველი ოსმალო ან ინდოელი, ან ჩინელი და სხვ. კაპიტალისტი კომუნისტი ყოფილა, ვინაიდან ისინიც იბრძვიან ბეგებისა და **უცხოეთის** კაპიტალისტების წინააღმდეგ.

მაშასადამე, როგორი ენით უნდა ვილაპარაკოთ ჩვენ ამ კოლონიალურ დაჩაგრულ მშრომელ მასებს? რასაკვირველია ჩვენ ვერ გამოვიყვანთ მათ კომუნისტური რევოლიუციის ავანგარდათ, როგორც ეს გონია ამხ. **ხ—ელს**, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია ჩავითრიოთ ისინი იმ ბრძოლაში, რომელსაც აწარმოებს საერთაშორისო პროლეტარიატი მსოფლიო იმპერიალიზმის წინააღმდეგ, მით უმეტეს, რომ ეს მასები უკვე იწყებენ ბრძოლას ამ დასავლეთის კაპიტალიზმისა და იმპერიალიზმის წინააღმდეგ თავის **ეროვნული** თავისუფლებისათვის. ჩვენი მოვალეობა და დანიშნულებაა ჩავაბად ეს მშრომელი მასები საერთაშორისო რევოლიუციონური მუშათა კლასის ბუქსირზე და მით დავაახლოვოთ და გავაადვილოთ საერთაშორისო პროლეტარიატის სრული და საბოლოო გამარჯვება საერთაშორისო კაპიტალიზმზე, რათა მოისპოს მთელ ქვეყნიერობაზე ყოველგვარი ჩაგვრა და დამონება. მესამე კომუნისტური ინტერნაციონალის მუშაობაც სწორედ აქეთკენ არის მიმართული.

რა აზრი უნდა ქონდეს ამის შემდეგ **ხ.—ელის** შემდეგ სიტყვებს: „ბოლშევიკების მიზანი, რომ მხოლოთ „ეროვნულ ბურჟუაზიულ რევოლიუციის“ მოხდენა იყოს, მაშინ ეს მისია შესრულებულათ ჩაითვლება, რადგან ევროპის ქვეყნებში ბურჟუაზიულმა რევოლიუციებმა გაიარა თავისი განვითარების ციკლი („ტრიბუნა“ № 181)

„საიდან სადაო, წმინდა საბაო,“ რომ იტყვიან, სწორეთ ესაა. ჩვენ ვამბობდით „ეროვნულ-ბურჟუაზიულ რევოლიუციებზე“ კოლონიალურ ჩამორჩენილ ქვეყნებში მხოლოთ და რა შუაშია აქ დასავლეთი ევროპა—ეს მკითხველმა გამოიცნოს. მართალია თქმით ყველაფერის თქმა შეიძლება, მაგრამ ცოტათი მაინც უნდა დავუფიქრდეთ რასაც ვამბობთ, თორემ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდებით.

* * *

ამ გვარათ, როგორც ვხედავთ მარქსიზმს კი არ განუცდია კრახი, არამედ იმ მიმართულებამ, რომელიც თუმცა სხვადასხვა ფორმებში მაგრამ მაინც არსებითად მარქსიზმს „კრიტიკის“ მეტს არაფერს აკეთებდა თავის გაჩენის დღიდან. ეს ყველასათვის აშკარა და ცხადი გახდება ვინც კი გულდასმით და ყურადღებით წაიკითხავს ამხ. **ხ.—ელის** წერილებს. რაც შეეხება მის მტკიცებას, რომ ბოლშევიზმმა მიიღო ფედერალიზმი და სოციალიზაცია, ვიტყვით მხოლოთ ერთს. პირველის შესახებ: თუ მას წაუკითხავს მარქსის „პარიზის კომუნა,“ მაშინ ეს არ უნდა ეთქვა, ვინაიდან წინააღმდეგ შემთხვევაში გამოდის განზრახ ჩადენილი სიყალბე.*) მეორეს შესახებ: სოციალიზაცია სოფლათ, ეს დათმობა იყო გლეხებისათვის, როგორც მოკავშირისათვის და მეტი არაფერი, ხოლო ქალაქათ კი ესერულ სოციალიზაციის ხსენებაც არ ყოფილა.

თქვენ ეს გვითხარით ჩვენ: რამდენი ხანი იქნება, რაც იცანით, „კაპიტალის კონცენტრაცია,“ რომელმაც „თავისი უკიდურესი სახე მონოპოლური კაპიტალის ფორმაში გამოსახა.“

ქ. კომუნაძე.

* საზოგადოთ უნდა ვთქვათ, რომ სიყალბეს **ს.—ელი** მგონი დაჩვეული უნდა იყოს, ვინაიდან ის სწერს: „სტალინი გააფთრებით ებრძოდა ტერიტორიალურ ავტონომიის პრინციპს“ ჩვენ კი ვამბობთ ეს არ შეეფერება სიმართლეს. ამაში ყველას შეუძლია დარწმუნდეს, თუ კი წაიკითხავს მის ბროშურას: Марксизм и национальный вопрос.“

ქ. კომუნაძე.

კაპიტალიზმის სამეფოებში

1 მაისის დღესასწაული გენუაში

სანტა მარგარიტა. 2 მაისი (რუსეთის დელეგაციის პრესბიუროს რადიო მოსკოვით). 1 მაისს რუსეთის დელეგაციას არ მიუღია მონაწილეობა კომისიის მუშაობაში, რაიც ეუწყა, კონფერენციის სეკრეტარიატს. ირკვევა რომ 1 მაისის მუშათა მიტინგებზე მოელოდენ საბჭოთა დელეგატების უეცარ გამოსვლებს, მაგრამ რადგანაც დელეგატებს ვალდებულება აქვთ უარი სთქვან აგიტაცია-პროპაგანდაზე, მათ ვერ შესძლეს გამოსულიყვნენ მიტინგებზე და მისალმებოდენ მუშებს. კომუნისტურ გაზეთებში დაბეჭდილია პატარა წერილი ჩიჩერინისა და რაკოვსკის, რომელიც არ კვეცს 1 მაისის დღესასწაულის ისტორიას და მისდამი საბჭოთა მთავრობის დამოკიდებულებას.

მისალმებანი საბჭოთა დელეგაციას.

სანტა-მარგარიტა 2 მაისი (რუსეთის დელეგაციის პრეს ბიუროს რადიო). საბჭოთა დელეგაციის სახელზე გამოგზავნილ აუარებელ მილოცვათა შორის დამახასიათებელია იტალიის ციხეში მყოფ მუშათა და ნიუიორკის ჯარისკაცების მილოცვა. აღსანიშნავია აგრეთვე მისალმება კერენსკის დროინდელ ერთ თვალსაჩინო დიპლომატის, რომელიც ესალმება მედგარ დაცვას რუსეთის ინტერესებისას დასავლეთ ევროპის ბურჟუაზიის გამოლაშქრებიდან.

ქრონიკა

✦ **სახელმ. უნივერ. კომფრაქციის საგანგებო კრება.** ორშაბათს 8 მაისს, საღამოს 5 საათზე სახელმწ. უნივერ. შესდგება ამავე უნივერსიტეტის კომფრაქციის საგანგებო კრება. დღის წეს რიგში მეტად მნიშვნელოვანი საკითხებია. დასწრება ყველა წევრის და კანდიდატის აუცილებელია.

კომფრ. ბიურო.

✦ **ხოლერა.** 25 მარტს ბაქტეოროლოგიურ გამოკვლევამ აღნიშნა თბილისში ამ წელს პირველი შემთხვევა აზიური ხოლერით დაავადმყოფებისა. ამ დღიდან 1 აპრილამდე ბაქტეოროლოგიურ გამოკვლევამ დაამტკიცა ქალაქში ხოლერით დაავადმყოფების 6 შემთხვევა, რომლიდანაც 5 გათავდა სიკვდილით. აპრილის განმავლობაში ახალი დაავადმყოფების შემთხვევა იყო 14, რომლისგანაც 6 მოკვდა და 7 მორჩა. 1 მაისისთვის დარჩენილია 2 ავადმყოფი.

✦ **პარტახტიანი სახადი და ყვავილი.** ქალაქის საავადმყოფოებში 1 აპრილისთვის ავად იყო პარტახტიანი სახადით 170 და ყვავილით 12. აპრილის განმავლობაში საავადმყოფოებში შემოვიდა პარტახტიანი სახადით 226. რეგისტრაციაში გატარებულია 44 ტიფით და 20 ყვავილით ავადმყოფი, რომლებიც ექიმობენ შინ 1 თვის განმავლობაში გამოეწერა საავადმყოფოებიდან პარტახტიანი სახადით 261 და ყვავილით—14 ავადმყოფ. გარდაიცვალა პარტახტიანი სახადით 21 და ყვავილით 6. 1 მაისისთვის რჩება ავადმყოფები: პარტახტიანი სახადით 114 და ყვავილით 12.

✦ **ხანძარის შემთხვევები.** აპრილის განმავლობაში ქალაქში მოხდა 30 ხანძარი.

✦ **თხოვნა დემუნიპალიზაციის შესახებ.** ქალაქის აღმასრულებელ კომიტეტში მუნიციპალიზაციით ჩამორთმეულ სახლების ყოფილ მეპატრონეებიდან შემოდის ბევრი თხოვნები მათი სახლების დემუნიციპალიზაციის შესახებ იმ პირობით, რომ მოახდინონ შეკეთება ამ სახლების და არ გამოასახლონ შიგ მცხოვრებნი.

✦ **სათესი სიმინდის ახალი პარტია.** მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატი აგზავნის ნოვოროსიისკში ორ კაცს 180,000 ფუთი სათესი სიმინდის მისაღებად, რომელიც მოტანილია ჩრდილოეთ ამერიკიდან საქართველოს თესვის საჭიროებისათვის.

✦ **სოციალურ უზრუნველყოფის სახალხო კომისარიატის ლიკვიდაცია.** სოც. უზრუნ. სახ კომისარიატის საპენსიო განყოფილება გადავიდა შრომის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში ღარიბეს მცხოვრებთათვის სახელმწიფო დახმარების ქვეგანყოფილების სახით. წითელ არმიელთა ოჯახების უზრუნველყოფა გადადის სახალხო საზღვაო კომისარიატის განკარგულებაში, და დასახიჩრებულთა სახლები—ჯანმრთელობის დაცვის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში.

✦ **ღამის გასათევი სახლები.** ღარიბეს მცხოვრების დახმარების ქვეგანყოფილება ადგენს ღარიბეს მცხოვრებისთვის ღამის გასათევ სახლების პროექტს.

✦ **ნიაღვართან ბრძოლა.** კომუნალური მეურნეობის სანიტარულ-სამშენებლო ტეხნიკურ განყოფილებას განზრახული აქვს პირველ რიგში დაიწყოს მუშაობა კედლების საშენებლად ქალაქის მთიან ადგილებში ხევებში ნიაღვარისაგან დასაცავად. პირველ რიგში კედლები აშენებული იქნება ხევებში მოსკოვის ქუჩის ზევით, შემდეგ სუნუნის ხევში ნახალოვკაში, ლოტკიის სკოლის ახლოს, პეტროვის ქუჩებს ზევითა ხევებში და სხვა.

✦ **ღვინის გაგზავნა გასასყიდად.** მიწად მოქმედების კომისარიატმა მოსკოვში გაგზავნა 1.000 ვედრო ღვინო გასასყიდად. ღვინო არის წინანდალის და მუკუზანის ეროვნულ მამულებიდან; განზრახულია გაყიდონ იგი ბითუმათ, ამასთანავე გაყიდვის წარმოებას ადგილზე კისრულობს მიწად მოქმედების კომისარიატი თავის აგენტების საშუალებით.

✦ **გრანდიოზული სეირნობა დამშეულთა სასარგებლოთ.** საქართველოს დამშეულთა დამხმარე მთავარი კომიტეტი 7 და 8 მაისს სასახლის ბაღში საქართველოს დამშეულთა სასარგებლოდ მართავს სეირნობას. დილით მოწყობილი იქნება სეირნობა ბავშვთათვის საბავშო სათამაშობით ი. მ. სუნდუკიანის ხელმძღვანელობით, ლისიციანის სტუდია დადგამს საბალეტო წარმოდგენას და აგრეთვე გამართული იქნება სხვა გასართობები. საღამოთი გაიმართება ბალეტი მ. მ. მორდკინის ხელმძღვანელობით, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ თბილისის ბალეტის საუკეთესო ძალები, დაუკრავს მესაყვირეთა გუნდი, გაიმართება ლატარეა—ალეგრი და სხვა გასართობები. არც ფულის შეგროვება და არც აუქციონი არ იქნება არც ერთ სეირნობაზე.

სასოფლო-სამეურნეო ფრონტზე

სასურსათო გადასახადის კომპანიის მსვლელობა

სასურსათო კომისარიატის ცნობით 4 მაისამდი აკრეფილი სასურსათო გადასახადი გამოიხატება შემდეგი ციფრებით:

ახალ ქალაქის მაზრა. ხორბალი—3125 ფ., ქერი—4042 ფ., კართოფილი—2160 ფ., ლობიო—29 ფ., ერბო—42 ფ., ყველი—43 ფ., ვაშლი და მხალი—28 ფ. ხორცი—972 ფ., და მატყლი—64 ფ.

ახალციხის მაზრა. ხორბალი—6323 ფ., ქერი—2006 ფ., სიმინდი—3408 ფ., დიკა—1569 ფ., კართოფილი—14202 ფ., მწვანილი და ხილი—702 ფ., რძის ნაწარმოები—6 ფ., ხორცი—769 ფ.

ბორჩალოს მაზრა. ხორბალი—3418 ფ., ქერი—1142 ფ., სიმინდი—859 ფ., შვრია და ფეტვი—124 ფ., კართოფილი—2094 ფ., მწვანილი და ხილი—65 ფ., ერბო—57 ფ., ყველი—85 ფ., ღვინო—5287 ვედრო.

გორის მაზრა. ხორბალი—2560 ფ., ქერი—1628 ფ., სიმინდი—9997 ფ., ქერ დიკა და შვრია 30 ფ., კართოფილი—208 ფ., მწვანილი და ხილი—312 ფ., რძის ნაწარმოები—10 ფ., ხორცი—16 ფ., მატყლი—2 ფ., ფქვილი—110 ფ., ღვინო—264 ვედრო.

დუშეთის მაზრა. ხორბალი—400 ფ., კართოფილი—46 ფ., მწვანილი და ხილი—146 ფ., ხორცი—39 თავი და ღვინო—245 ვედრო.

თბილისის მაზრა ხორბალი—4574 ფ., ქერი—1915 ფ., სიმინდი—1644 ფ., კართოფილი—6550 ფ., ლობიო—271 ფ., მწვანილი—1387 ფ., რძის ნაწარმოები—101 ფ., ხილი—181 ფ., ხორცი 104 ფ., მატყლი—362 ფ., ღვინო—3854 ვედრო.

თელავის მაზრა. ხორბალი—3190 ფ., სიმინდი—4814 ფ., სხვა მარცვლეული—69 ფ. ლობიო—6 ფ., ხორცი—300 ფ., ღვინო—10,000 ვედრო.

თიანეთის მაზრა. ხორბალი—606 ფ., ქერი—421 ფ., სიმინდი—1169 ფ., კართოფილი—233 ფ., ლობიო—39 ფ.

სიღნაღის მაზრა. ხორბალი—3271 ფ., კარტოფილი—255 ფ., მწვანილი—348 ფ., ერბო—20 ფ., მატყლი—8 ფ.

სამხრეთ ოსეთი. ხორბალი—118 ფ., ქერი—536 ფ., სიმინდი—2143 ფ., ლობიო—10 ფ.

ქუთაისის მაზრა. სიმინდი—360 ფ., ყველი—2 ფ., ხორცი—32 ფ.

რაჭის მაზრა. ხორბალი—55 ფ., სიმინდი—672 ფ., კართოფილი—41 ფ.

ზუგდიდის მაზრა. სიმინდი—157 ფუთი.

ოზურგეთის მაზრა. სიმინდი—4719 ფ., კართოფილი—37 ფ., კაკალი—32 ფ.

სულ რესპუბლიკაში შეგროვილია ხორბალი 88973 ფ.

ამიერ-კავკასიის მშრომელ ქალების პირველი ყრილობისათვის ბაქოში

(1922 წლის 25 მაისს)

კლასთა შორის დაუზოგველი, სისხლიანი ბრძოლა წითელი ზოლივით გადის კაცობრიობის მთელ ისტორიაში.

ვინ არ იცის მონობის, ბატონების, კაპიტალის შეუბრალებელი ჩაგვრის საშინელებანი, ვინ არ იცის, თუ როგორ აშენებდნენ მშრომელთა გაჭირვებაზე და ძვლებზე თავის კლასობრივ კეთილდღეობას და კაცობრიობის მთელ წარსულ ცივილიზაციას ყველა ჯურის მძარცველები (მონათმფლობელნი, მემამულენი, კაპიტალისტები, მეფეები, ხუცები და სხ.).

განა შეიძლება გაიზომოს ჩაგვრის, ძალადობის უსაზღვრო ზღვა, რაც გამოგვიცდია საუკუნეთა განმავლობაში.

არა, ჩვენ შრომის ქალებს, არ შეგვიძლია ეს ერთი წამითაც თვალი დავხუჭოთ იმაზე, რიგან ბევრი ხანი არ არის რაც განვთავისუფლდით და რაც კიდევ მეფობს მთელი თავისი სიშიშვლით ჩვენი მუშურ-გლეხურ საბჭოთა რესპუბლიკებს გალმა.

ჯერ ისევ ცოცხალია ხსოვნა მილიონ გვამებსა და დასახიჩრებულებზე, რაც მოგვცეს თავისი პირადი ინტერესებისათვის მსოფლიო კაპიტალის ამ მტაცებელმა მსოფლიო ხოცვა ჟლეტაში და ისე ცხადათ, გარკვევით ვხედავთ ჩვენ, თუ როგორ ცდილობენ ისინი ეხლაც სისხლში ჩაახრჩონ, სიმშილის აგონიაში ჩაკლან ჩვენი ახალგაზრდა მუშურ-გლეხური ხელისუფლება, თუ როგორ კბილებს ილესავენ ჩვენზე იმისთვის, რომ ჩვენ, ყოფილი მონები, ავჯანყდით თავის ბატონების წინააღმდეგ და დაკიურებული მშრომელი ხელებით ვქმნით თავის საკუთარ ცხოვრებას.

მაგრამ განუზომელად მძიმეა ეს გზა მშრომელთა განთავისუფლებისა. ჩვენი, მსოფლიო და სამოქალაქო ომით სისხლისაგან დაცლილ და ქანცგამოლეულების წინააღმდეგ დგანან. თავიდან ფეხამდე რკინით და ფოლადით, ცოდნით, პრაქტიკული გაქნილობით, მატერიალური სიმდიდრით შეიარაღებული კაპიტალისტები, მემამულენი, ხუცები და მთელი ქვეყნიერების სხვა და სხვა ექსპლოატატორები, რომელნიც განაგრძობენ თავიანთი ხალხების ჩაგვრას და ცდილობენ ჩვენი მოსპობასაც.

მუშა და გლეხ-ქალებო, განა შეიძლება ერთი წამითაც კი ეჭვი შევიტანოთ იმაში, თუ რა საშინელ ჩაგვრას და დამონებას გვიმზადებენ ისინი. და ვიცით რა ეს, განა ჩვენ შეგვიძლია დავთმოთ ჩვენი პოზიციები, რომელიც დაპყრობილია რუსეთის და ამიერკავკასიის მშრომელთა აურაცხელი მსხვერპლით. განა შეგვიძლია ჩვენ დაუშვათ მტაცებლების ისევ აღდგენა, რომელნიც ასე შეუბრალებლად სჯიჯგნიდენ მშრომელი ხალხის სხეულს მრავალ საუკუნეთა განმავლობაში.

არა, ეს შეუძლებელი რამ არის.

მთელი მსოფლიოს მუშათა კლასიც აგრეთვე ამსხვრევს მონობის საუკუნოებრივ ხუნდებს და მოიწევა ჩვენკენ, განთავისუფლებულებისაკენ. ჩვენს გამარჯვებაში ის უკვე ხედავს თავის გამარჯვების ალიონს, ჩვენს დამარცხებაში—თავის სიკვდილს.

და ამ პასუხისმგებელ გადამწყვეტ მომენტში მსოფლიო პროლეტარიატის ბრძოლისა ყველა ქვეყნის მცარცველებთან ჩვენ, ამიერ კავკასიის მშრომელი ქალები, თავისი პირველი ყრილობით ბაქოში 25 მაისს მძლავრ საძირკველს ვყრით თავის რიგების შემჭიდროებისათვის, ამ ბრძოლის გაღრმავების და გაფართოვების მიზნით ბრწყინვალე მომავლისათვის: მწყობრი დარაზმული რიგებით შესასვლელად მუშათა საერთო რევოლიუციონურ არმიაში, მწყობრი მახვილის ჩასაცემად ჩვენი ცხოვრების მტკივნეულ, სუსტ ადგილებისათვის.

სოციალური ველური შოვინიზმი კიდევ არ არის დაძლეული ჩვენს მხარეში და ჩვენ მშრომელ ქალების პირველ ყრილობაზე, შევაკავშირებთ რა ერთიან, მჭიდრო, ამხანაგურ ოჯახად ამიერკავკასიის ყველა ერების მშრომელ ქალებს,—კიდევ ერთხელ ხმამაღლა და გადაჭრით განვაცხადებთ, რომ ყველა ერების, ყველა ხალხების პროლეტარებს ყავთ მხოლოდ ერთი საერთო უბოროტესი მტერი კაპიტალისტი ეროვნების განურჩევლად, რომ მხოლოდ მუშათა კლასის მოსისხლე მტრები სთესავენ ეროვნულ შუღლს და განცალკევებას მშრომელთა შორის. და ჩვენი სინამდვილის ამ ბოროტებას ჩვენ უნდა გამოუცხადოთ შეურიგებელი ბრძოლა და უფრო მჭიდროთ შევაკავშიროთ ამიერკავკასიის რესპუბლიკების ფედერაცია რუსეთის და მთელი მსოფლიოს მშრომელებთან.

ჩვენ—ერთი წამიც არ უნდა დავკარგოთ და მთელი ჩვენი შეკავშირებული ძალა ჩავაბათ ბრძოლაში სიმშილთან, რომლითაც ოცნებობენ მუშათა კლასის უბოროტესი მტრები ჩაახშონ ჩვენი ლტოლვა კომუნიზმის ბრწყინვალე სამეფოსაკენ.

ჩვენ უნდა შევიჭრათ ჩვენი ახალი ცხოვრების სამეურნეო და საზოგადოებრივ აღმშენებლობის ყველა ჭუჭრუტანებში, ჩვენ უნდა ვიდგეთ კომუნარების ყველაზე უფრო პასუხისმგებელ მოწინავე პოზიციებზე, ვინაიდან შრომის სუფევის სრული განმტკიცება, ანთავისუფლებს რა მშრომელთ, გაგვანთავისუფლებს ჩვენც, მშრომელ ქალებს ეკონომიურ, ოჯახურ და სხვა დამონებისაგან, ბურჟუაზიულ საზოგადოების საძაგელ მემკვიდრეობის-პროსტიტუციისაგან.

ამხანაგებო, შრომის ქალებო. განფანტეთ, თუ აქვს თქვენში ადგილი ეჭვებს, რყევას, მოიშორეთ მძიმე ფიქრები დღევანდელი დღის გაჭირვებაზე და გახსოვდეთ ერთი ურყევი ნათელი ჭეშმარიტება, რომ არავინ, არც ერთი თქვენი კლასობრივი მოწინააღმდეგეთაგანი არაფერში დაგეხმარებათ, თუ თქვენ თითონ არ დაეხმარებით თავის თავს, არც ერთი მათგანი თქვენთვის არაფერს არ გააკეთებს, გარდა საშინელი ბოროტებისა, თუ თქვენ თითონ მძურვალედ არ მოკიდებთ ხელს მუშაობას თავის შრომის სამეფოს განსამტკიცებლად.

წინ—ხელი ხელ ჩაკიდებული ამიერკავკასიის, რუსეთის და მთელი მსოფლიოს მებრძოლ მუშათა კლასთან, წინ მედგარ, ბეჯით მუშაობისა და და ბრძოლისაკენ მთელ მსოფლიოში ჭეშმარიტ, სრულ შრომის სუფევის განსამტკიცებლად.

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის მშრომელ ქალთა პირველ ყრილობას.

გაუმარჯოს ამიერ კავკასიის მშრომელ ქალების ერთიან განუყრელ კავშირს რუსეთის და მთელ მსოფლიოს რევოლიუციონურ მუშათა კლასთან კომუნის განსამტკიცებლად ამიერკავკასიაში და შრომის კომუნის დასამყარებლად მთელ მსოფლიოში.

რ. კ. პ. ამიერ კავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილება.

მაზრებში ცეკას მიერ დაგზავნილი პასუხისმგებელ ამხანაგების მოხსენებიდან

თანახმად თქვენი დავალებისა მე შეუდექი ჩემი მოვალეობის ასრულებას 1 აპრილიდან.—

2 აპრილს მოწვეულ იქნა პარტიის წევრების და კანდიდატების მასიური კრება, რომელსაც დაესწრო ქალაქ სენაკის და თეკლათის თემის ორგანიზაციის სრული შემადგენლობა, სადაც გავაკეთე ვრცელი მოხსენება მაზრაში ეკონომიური და პოლიტიკური კამპანიის ჩატარების შესახებ; გაირჩა აგრეთვე სხვა საკითხებიც.

ოთხ აპრილს შესდგა რაიკომის პასუხისმგებელ მდივნების თათბირი, რომელიც გაიხსნა 4 საათზე, თათბირს დაესწრო თითქმის ყველა პასუხისმგებელი ამხანაგი, აქაც გავაკეთე ვრცელი მოხსენება; თათბირს ქონდა მეტად საქმიანი ხასიათი. გაშუქებულ იქნა მრავალი სხვა საკითხები.

ყველა რაიონებში და თემებში გაიგზავნა პასუხისმგებელი ამხანაგები და ეს კამპანია ჩატარდა საუცხოვოდ, საზოგადოება დარჩა მეტის მეტად კმაყოფილი. ამ რიგათ პოლიტიკური და თესვის კამპანია მაზრაში იქნა ჩატარებული 6 აპრილიდან 11 აპრილამდე. აღვნიშნავ, რომ გლეხობაში სულიერი მდგომარეობა ძალზე მტკიცეა. არიან ღრმად დარწმუნებულნი, რომ საბჭოთა მთავრობა და კომუნისტური პარტია მათი ერთგული დამცველია და სრულ იმედით შეგვყურებენ ჩვენ. ხვნა თესვის საქმე დიდებულათ მიდის, ზემო-სამეგრელოში 5 აპრილამდი მოთავდება თესვა, და დასავლეთ სამეგრელოში კი 1 მაისამდი. გლეხობა ეწევა მუშაობას გაორკეცებული ენერგიით, ასეთ მუშაობას არას დროს გლეხობაში ადგილი არ ქონია, და ამ მხრით მაზრის საქმე წინ მიდის.

საბჭოთა და პარტიულ მუშაობის შესახებ გაცნობებთ შემდეგს: 1) დამშეულთა დამხმარე კომიტეტი დიდი ხანია რაც შესდგა და შეუდგა მუშაობას, აგრეთვე თემებში დღემდის კომიტეტების მუშაობა შეიცავს: 1) დამშეულთა რაოდენობის გამორკვევას მაზრაში, რაც უკვე შესრულებულია. 2) დამშეულთა დასახმარებლათ სხვა და სხვა საშუალებების გამოძებნას. კომიტეტთან დაარსებულია სამი სექცია: 1) შემოწირულების ამკრები, 2) სათეატრო, 3) საღამოების მომწყობი. დღემდის კომისიას მოუგროვებია 7,000,000 მან., კომიტეტი თავის საქმეს ეკიდება კარგად.

სამაზრო პარტკომი შეიცავს შემდეგ განყოფილებებს: 1) საორგანიზ.

ბრძოლა სიმშილობასთან

სენაკის მაზრა.

სენაკის მაზრის დამშეულთა დამხმარე კომიტეტი ღრმეს მადლობას სწირავს ქ. სენაკის ყველა იმ შეძლებულ ვაჭარ-მრეწველთ, რომლებმაც საორგანიზაციო კომიტეტის საშუალებით, შემოსწირეს თავიანთი წვლილი დამშეულთა სასარგებლოდ.

კომიტეტი ამასთანავე ჰკიცხავს და ზიზღს უცხადებს იმ ვაჭრების მცირეოდენ ნაწილს, რომელსაც საშუალება ქონდათ და არ მიიღეს მონაწილეობა შემოწირულების საქმეში.

გიგზავნით ამ უკანასკნელების სიას: 1. იონა ხუხია და ამხ ბა, 2. ვანო ჩხიკვიშვილი, 3. კოსტა წურწუმია, 4 კალი მიქ ძე, 5. ავქსენტი წურწუმია, 6 ვანო ჩემია, 7. იაკიმე ფაჩულია, 8 იპოლიტე ბარბაქაძე, 9. სევასტი ბაკურაძე, 10. ელიზბარ ყურუა, 11. პეტრე ჯორჯიკა, 12. ვლადიმერი თოფურიძე.

დამშეულთა დამხმარე კომიტეტის თავმჯდომარე **ა. ლომია.**

საინსტ. განყ. საინფ. სტატისტ. ქვეგანყოფილებით და აღმნუსხველ-განმანაწ. მაგიდით, 2) სააგიტაციო საპროპაგანდო განყ., საბიბლიოთეკო ქვე-განყ., რომელიც განაგებს პარტკომის სამკითხველოსაც, 3) საქალებო განყ., 4) საინეო განყ. და 5) საერთო განყოფილება ფინანსიური ქვე-განყ, საერთოდ ყველა ჩამოთვლილი განყოფილებები ეწევიან ენერგიულ მუშაობას და საქმე დაყენებულია კარგათ. სამაზრო კომიტეტში ინტრიგას და უთანხმოებას არა აქვს ადგილი, პარტიული მუშაობა მაზრაში დგას თავის სიმაღლეზე, არსებობს რაიკომები და თემკომები და ღირსეულათ ასრულებენ თავიანთ მუშაობას. ზოგიერთ კომუჯრედებში სისტემატიურ მეცადინეობას არ ქონია ადგილი მარტის 15 დან, მაგრამ ამხ. ამას ხსნიან იმით, რომ ამხ. ეწეოდნენ ყანის მუშაობას. ეს ნაკლი იქნება მალე გამოსწორებული, საერთოდ სულიერი განწყობილება პარტიაში მტკიცეა, და პარტია სარგებლობს მაზრაში უპარტიო მასის თვალში დიდი ავტორიტეტით და ნდობით.

ურთი ერთ დამოკიდებულება, პარტკომებისა და ახალგაზრდა მუშათა და გლეხთა კომუნისტური კავშირის ორგანიზაციებს შორის მჭიდროა, პარტია უწევს იდეურ ხელმძღვანელობას, და შეძლების და გვარად მატერიალურსაც, უკეთებს მოხსენებებს სხ. და სხ. პოლიტიკურ საკითხებზე, იწვევს კომკავშირის წევრებს პარტიის საერთო კრებებზე, და პარტკომებიც გზავნიან თავის წარმომადგენლებს კომკავშირის კომიტეტის სხდომაზე. ამ მხრით საქმე კარგათ მიდის, მხოლოდ კომკავშირი განიცდის სრულ მატერიალურ კრიზის, საჭიროა დროზე ყურადღების მიქცევა. ურთი-ერთ დამოკიდებულება პარტკომებსა და აღმასკომებს შორის კარგია, ფუნქციების არევას ადგილი არა აქვს. ინტრიგები არ არის და ამ მხრით სენაკის მაზრა ბედნიერია.

პროფკავშირი მჭიდრო კავშირშია პარტიასთან, პარტკომი მას უწევს იდეურ ხელმძღვანელობას პოლიტიკურ დარგში, იწვევს კავშირის საერთო-კრებას, კითხულობს მოხსენება სხ. და სხ. საკითხზე. პარტკომი აწოდებს საჭირო პოლიტიკური ლიტერატურას შეძლებისდა გვარათ.

საერთო მილიცია შედარებით, შეიძლება ითქვას, კარგია, მაგრამ ზოგიერთ რაიონებში კიდევ სუსტობს მიღებულია ზომები, რომ მოხთეს მილიციის გადასინჯვა და საფუძვლიანად გაწმენდა ზოგიერთი არა სასურველი ელემენტებისაგან, შემდგარია კომისია, რომლის მუშაობის შედეგებს გაცნობებთ. ბანდიტიზმს ადგილი არა აქვს.

გაცარცვის ორი შემთხვევა იყო, იმედია ამასაც მოეღება ბოლო, მაზრას აქვს საშუალება მილიციის საქმე იდეალურათ მოაწყოს. ამის სრული იმედები არის.

საგანგებო რაზმის შესახებ გაცნობებთ, რომ ის სდგას თავის სიმაღლეზე.

სასურსათო გადასახადის ამკრეფი სამეული ენერგიულათ მუშაობს, დაწყებულია სურსათის აკრეფა, გადასახადისაგან სრულიათ განთავისუფლებულია ულარიბესი და საშუალო გლეხობა, და ამ ნიადაგზე არავითარ უკმაყოფილებას ადგილი არა აქვს. იმედი არის რომ სამეული შესძლებს დაახლოვებით 15,000 ათასიდან 20,000 ფუთის აკრეფას.

გაზეთების მიღება ამ ბოლო ხანებში სრულიად შეწყვეტილია, ამის მიზეზი ის არის, რომ გაზეთები ფასიანია და სამაზრო პარტკომს არა აქვს საშუალება გაუსწოროს გაზეთების ტრესტს მიღებული გაზეთების ანგარიში, საჭიროა ცეკამ მიიღოს დროზე რაიმე ზომები, რომ განგვიახლდეს გაზეთების გზავნა. იმედია ამ მხრივ ცეკა იზრუნებს დროზე, რაც შეეხება ლიტერატურას, ჩვენთვის საჭიროა ქართული ლიტერატურა, რაც არ მოგვეპოვება, იმედია ცეკა გამოგვიგზავნის ჩვენ წილ ლიტერატურას, და მიიღებს ზომებს გამომცემლობის გასაძლიერებლად და დაფარავს პოლიტიკურ და ეკონომიურ შინაარსის ლიტერატურით მთელი ორგანიზაციების მოთხოვნილებას.

საერთოთ უნდა აღვნიშნო, რომ მაზრა განიცდის ფინანსიურ კრიზისს, ადგილობრივი შემოსავალი ვერ ფარავს გასავალს. ყველაზე უფრო ცუდ პირობებში უხდება მუშაობა განათლების განყოფილებას, მას არ გააჩნია არავითარი სახსარი, საჭიროა ამ განყოფილებას მიექცეს სერიოზული ყურადღება მთავრობიდან; რათა მისი მოთხოვნილება ფინანსიური მხრით მაინც იქნას დაკმაყოფილებული.

საერთოდ უნდა ვთქვა, რომ საბჭოთა აღმშენებლობის საქმე და აღმასკომის მუშაობა, მიუხედავათ იმისა, რომ ამ ორგანოში მუშაობენ პასუხისმგებელი ამხ. მაინც ვერ არი უნაკლო. ამას აქვს თავისი მიზეზები, ერთი, ამხ. არა აქვს სათანადო გამოცდილება, მეორე, სამაზრო აღმასკომს მოწყდა ერთი კარგი მუშაკი, ამხ. სამსონ მამულია, რომლის მოხსნამ აუცილებლათ თავისი კვალი დააჩნია აღმასკომის მუშაობას, და მე მგონია თუ ამხ. სამსონ მამულია დროზე არ დაუბრუნდა აღმასკომის თავმჯდომარეობის ადგილს, თანახმად ყრილობის და სამაზრო პარტკომის პლენუმის სხდომის დადგენილებისა, საქმე შეიძლება უფრო გართულდეს; ვინაიდან სამაზრო პარტკომს არ შეუძლია ჩაერიოს აღმასკომის ყოველდღიურ ცოცხალ მუშაობაში, ვინაიდან მას თავისი პარტიული სამუშაო ბევრი აქვს და რომ შეძლება ქონებოდა, ის მაინც ვერ ჩაიდენდა ამას, ვინაიდან ეს იქნებოდა ფუნქციების არევა. იმედია მოხს. ანგარიშს გაუწევს ცეკა და საქმის სასარგებლოთ ამხ. მამულიას დაუბრუნებს სენაკის მაზრას.

წარმოებითი პროფკავშირებში

პასუხისმგებელ პროფმუშაკთა აღრიცხვა.

ს. რ. პ. კ. ც. ს. ამიერ-კავკასიის ბიუროს დადგენილების თანახმად 15 მაისიდან 15 ივნისამდი დანიშნულია მთელ ამიერ კავკასიაში კავშირის ორგანიზაციების პასუხისმგებელ პროფკავშირთა აღრიცხვა, გარდა საქარხნო და ადგილობრივ კომიტეტებისა, როგორიც არიან: სრულიად პროფკავშირების საგუბერნიო წარმოებითი კავშირების ცენტრ. გამგ. მათი სამაზრო განყოფილებები, სამაზრო პროფბიუროები და რაიონული პროფსაბჭოები, ყველა პროფკავშირთა საბჭოები და ამიერ კავკ. რკინის გზათა პროფკავშირი ვალდებული არიან დაუყოვნებლივ გამოყონ სათანადო აპარატი აღრიცხვის მოსახდენად, რის შემდეგაც მთელი მასალა უნდა გადასცენ სათანადო პროფორგანიზაციებს და ს. რ. პ. კ. ც. ს. ამიერ-კავკასიის ბიუროს.

გაზეთები მუშებისათვის.

რ. პ. კ. ც. ს. ამიერ კავკასიის ბიურო ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ გაზეთზე ფასის შემოღებით და თავისუფალ ხელის მოწერის შემდეგ ემჩნევა ადგილებზე გაზეთების და სხვა პერიოდულ გამოცემათა მიღების ძლიერი შემცირება. იმ დროს როდესაც წინათ თითო გაზეთი მოდიოდა პროფკავშირის 15—20 წევრზე, ამ ჟამათ ერთი გაზეთი მოდის 100 კაცზე. საჭიროა მიღებულ იქნას ზომები, რათა ყოველდღიური და პერიოდული პრესა განსაკუთრებით მუშების, აღწევდეს ადგილებზე: ამ მიზნით კოლექტიურ ხელშეკრულებებში შეტანილი უნდა იქნეს მუხლი, რომელიც უზრუნველყოფს კულტურულ მუშაობას, და აგრეთვე გაზეთების მინიმალურ რიცხვის შესახებ, რომელიც უნდა გამოუწეროს წარმოებამ თავის მუშებს. პროფესიონალურ გამოცემებზე და პრესაზე ხელის მოწერა, რომელსაც სცემს როგორც ადგილობრივი, ისე ცენტრალური პროფ. ორგანოები უნდა იყოს კავშირებისათვის სავალდებულო, ამასთანავე კავშირების მიერ გამოწერილ ეგზემპლიართა მინიმალური რიცხვი უნდა უდრიდეს მის განკარგულებაში მყოფ საქარხნო და ფაბრიკის კომიტეტების რიცხვს.

პროვინციაში

სენაკის მაზრა

შრომის განყოფილების მუშაობა მაზრაში.

შტატების შემოკლებამ ერთის მხრით არასასურველი შედეგი გამოიღო. ეს უნდა ითქვას განსაკუთრებით მუშებზე: ასობით და ათასობით მუშა-მოსამსახურენი დათხოვნილ იქნენ დაწესებულებებიდან და ქუჩაში მიტანტალა გახდნენ. ეს გარემოება საგრძნობლად დაეტყო სხვათა შორის, სენაკის მაზრასაც, განსაკუთრებით მაზრის ცენტრს—ქ. ახალ სენაკსაც.

უმუშევარნი ისედაც ყვნენ ქალაქში. ამას დაემატა შტატს გარეშე დარჩენილი მუშებიც, რომელთა შორის იყვნენ ბევრი კვალიფიციური. უმუშევართა რიცხვით თანდათან გაივსო ქუჩები.

მაგრამ მალე სენაკის მაზრის შრომის განყოფილების ინიციატივით მუშები შეკავშირებულ იქნენ და დაარსდა პირველ იანვარს არტელი „შრომა“. პირველად მცირე-რიცხოვანი იყო: წევრთა რიცხვი უდრიდა 400—500 კაცს, მაგრამ თანდათან გაიზარდა, ამ ჟამად არტელის დროშის ქვეშ თავს იყრის 700—800 მუშა, მუშებში ბევრია კვალიფიციური. მათ სამუშაო რაიონს შეადგენს რკინის გზა დაწყებული სადგ. ფოთიდან ბათუმამდე და სამტრედიიდან ხაშურამდე.

ამ მოკლე დროში სწარმოებდა მუშაობა რამოდენიმე რკ. გზის სადგურებთან, მაგ. ქვალონი, სამტრედია, ჩაქვი, ქობულეთი და ტეხურის ხიდზე.

მუშათა მდგომარეობა კულტურულადაც გაუმჯობესებულია: ამხ. ა. ნადარეიშვილის ინიციატორობით ქ. სენაკში არტელ „შრომისთვის“ გახსნილია სპეციალური, სამკითხველო და სასადილო. განზრახულია ამ მოკლე დროში გახსნილ იქნას მუშათა სახელოსნოც.

ვ ნ—ლი.

—

დ. ჩხარი

თესვის კომპანია.

შარშანდელმა და შარშანწინდელმა მოუსავლობამ მწარე საგონებელში ჩააგდო ჩხარის რაიონის გლეხობა და ამ წელში თესვას შეუდგა მარტის შუა რიცხვებიდან და დღემდის დათესილია უკვე დასათესი ყანების ორი-მესამედი. წინათ თუ მიწას ასვენებდნენ, მინდვრად უშვებდნენ და სხვა, ახლა ყველა ეს მიწები უკვე დახნეს და სიმინდი დათესეს, ასე, რომ თუ შევადარებთ ეხლანდელ ნათეს ყანებს წარსულ წლებთან, მომატებულს დავინახავთ ერთ-მესამედზე მეტს. და კიდევ, თუ წინათ გლეხებმა ვენახის გაშენებას მეჰყვეს ხელი და ყანები მიატოვეს, ეხლა, რადგან ღვინის ფასი ბაზარზე დაეცა და სიმინდისამ აიწია, ამიტომ გლეხებმა წელს, პირველ რიგში ყანების დათესვას მიჰყვეს ხელი, და სწორედ ამით აიხსნება თესვის კომპანიის ასე მალე დაწყება. წარსულ წელს თესვის კამპანია დათავდა ივლისის შუა რიცხვებში. თესვის კამპანიის ჩატარებას ხელს უშლიდა გვალვა, პროვოკაცია და სხ.

რომ წარსული წლის შემოდგომაზე ჩხარის რაიონში საკმაო ღვინო არ მოსულიყო, აქაური გლეხობა დღეს პირდაპირ აუწერელ მდგომარეობაში იქნებოდა: ჰყიდიან ღვინოს ბაზარზე სცვლიან სიმინდზე გურიაში და ასე ამრიგად დღის ვაი ვაგლახით გააქვთ დღემდის თავი, და ყანებსაც არ ტოვებენ დაუთესავს.

ნათეს პურსაც კარგი პირი უჩანს. ამინდებიც ხელშემწყობია.

—

მიწის რეფორმა ტარდება ცხოვრებაში კარგად. ღარიბი გლეხობა დიდ ენერგიას იჩენს მიწის განაწილებაში. არავითარ ექსცესებს ამ ნიადაგზე ადგილი არა აქვს მთელს რაიონში. პროვოკაციაც ძლიერ მისუსტდა და არავითარ გავლენას არ ახდენს გლეხობაზე.

—

ამა წ. 24 აპრილს დ. ჩხარში, ს. საზანოს რაზმელებმა, გრიგოლ აბაშიძის მეთაურობით, დაატუსაღეს რამდენიმე ქურდ-ბაცაცა, რომლებიც გამოტყდნენ დანაშაულში. ამოაჩინეს ბევრი ნაძარცვი ნივთები. ყველა ეს ქურდ ბაცაცები გადააგზავნეს ქ. ზესტაფონში. ხალხი ძლიერ გახარებულია ამ ამბით. დარწმუნდა გლეხობა, რომ საბჭოთა ხელისუფლებას შესწევს ძალა, გაუსწორდეს ყველა ქურდ-ბაცაც-ყაჩაღ-ბანდიტებს.

—

ჩხარის სანიტარული მდგომარეობა ძლიერ ცუდია. საჭიროა აღმასკომმა მიიღოს სასწრაფო ზომები სიბინძურის წინააღმდეგ. ავადმყოფობა (ტიფი) ამ უკანასკნელად თანდათან ვრცელდება. აფთიაქებში არ იშოვება საჭირო წამალი. საჭიროა მიაქციოს ამ გარემოებას სათანადო ყურადღება მაზრის ჯანმრთელობის განყოფილების გამგემ, თორემ შემდეგ, როცა ტიფი და სხვა გადამდები სენი ფართო ხასიათს მიიღებს, მაშინ გვიან და იქნება დახმარებაზე ლაპარაკი. საჭიროა აფთიაქებს მაწოდონ საჭიროთ ყოველგვარი წამლები.

დამსწრე.

მთავრობის მოქმედებანი და განკარგულებანი

დადგენილება № 10.

საქართველოს სოც. საბჭოთ რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

—საბჭოთა დაწესებულებების ანგარიშების შემდგომი რევიზიის ზოგად დებულებათა შესახებ.—

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახ კომისარიატის დაარსების შესახებ 1921 წ. აპრილის 27 ს თარიღით და 30 №-ით გამოცემულ დეკრეტის განსავითარებლად საქართველოს სოც საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭო, ახალ სარევიზიო წესდების გამოცემამდე, ადგენს:

1. დამტკიცებულ იქნეს ამა და დგენილებასთან დართული ზოგადი დებულებანი (წესები) ანგარიშთა შემდგომი რევიზიისა, ანგარიშ-დანაკლისთა გარდახდევინებისა და საერთოდ ფულის ხარჯების შემოწმების დასრულების ვადისა და წესის შესახებ.

2. მუშათა და გლეხთა ინსპექციისადმი ანგარიშვალდებულმა ყველა საბჭოთა დაწესებულებამ უნდა იხელმძღვანელოს პირველ მუხლში ნაჩვენები წესები მათში აღნიშნული ყველა შემთხვევისათვის.

3. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე **მ. ოკუჯავა.**

მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისარი **ჟუჟიკაშვილი.**

სახალხო კომისართა საბჭოს მდივანი **ალ. ხალარიძე.**

1922 წ. აპრილის 15

ტფილისი—სასახლე.

—

განცხადება.

ქალაქ თბილისის და მაზრის სამხედრო კომისარიატთან არსებულ სარეგისტრაციო სამეულის.

აღრიცხვის შევსების, საკომანდო და ადმინისტრატიულ შემადგენლობაზე დაწვრილებით ცნობების მიღების გამო, თანახმად ს. ს. ს. რ. სახალხო სამხედრო და საზღვაო კომისარიატის ბრძანებისა ა. წ 22 აპრილიდან № 158 სარეგისტრაციო სამეული აცხადებს ქვემო აღნიშნულ პირების რეგისტრაციას შემდეგი წესით:

1. ყველა ქვემო აღნიშნულ საკომანდო და ადმინისტრატიულ შემადგენლობის პირების განურჩევლათ საბჭოთა რესპუბლიკების ქვეშევრდომისა, რომელიც ამ ჟამად არ შესდგებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში და ცხოვრობენ ქალაქ თბილისში და მის მაზრაში რეგისტრაცია იწარმოებს ათი დღის განმავლობაში ა. წ. 6—16 მაისს შორის.

ამავე რეგისტრაციას ეხებიან აგრეთვე ქართული წითელ არმიის ის საკომანდო და ადმინისტრატიული შემადგენლობის პირნი, რომელნიც თუმცა იმყოფებიან ნამდვილ სამხედრო სამსახურში ხოლო მივლინებების, შვებულებების და სხვა მიზეზების გამო იმყოფებიან ამ ჟამად ქალაქ თბილისში და მის მაზრაში და 16 ამა მაისამდე არ დაუბრუნდებიან თავ-თავიანთ ნაწილებს.

2. რეგისტრაციას ეხებიან ის პირნი რომელნიც გასულ წლის 1 იანვრისთვის არ შეუსრულდა 65 წელი მიუხედავათ იმისა ირიცხებიან სამსახურში სადმე თუ არა, აგრეთვე ჯანმრთელობის მხრივათაც: ა) წითელი კომანდირები ე. ი. ის პირნი, რომლებსაც აქვთ გათავებული საბჭოთა მეუფროსეთა კურსები; ბ) ყველა ყოფილნი ოფიცერნი როგორც ძველი რუსეთის ჯარისა, თეთრი არმიელი აგრეთვე ყოფილ მენშევიკური ჯარის და გვარდიის, ისევე სხვა ქვეყნის ქვეშევრდომ ოფიცრების, რომლებსაც მიღებული აქვს რესპუბლიკის მოქალაქეობა. ჯარის ფიცის თანამდებობაზე დაქვეითებულნი ოფიცრები გამონაკლისის არ შეადგენენ; 3) ყოფილნი იუნკრები, რომლებსაც გავლილი აქვთ სამხედრო სასწავლებლის ანუ პრაპორჩიკების სკოლის კურსი, მაგრამ აუყვანელნი ოფიცრის ხარისხზე რევოლუციის ანუ საქართველოს სავეტიზაციის გამოისათ; გ) ყველა ყოფილნი როგორც ძველი რუსეთის ჯარის, თეთრგვარდიის, აგრეთვე ყოფილ მენშევიკური ჯარის და გვარდიის სამხედრო მოხელენი, სამხედრო დროის მოხელენი, აგრეთვე უფროსი მწერლები, რომლებსაც აქვთ მიღებული გამოცდილება სამხედრო დროის მოხელის წოდებაზე და დ) ყველა ის პირნი რომლებსაც არ აქვთ მიღებული სპეციალი სამხედრო განათლება და ეკავებათ ან არა რეგისტრაციის დღის დროს, ოფიცრის უფროსის და მაღლა თანამდებობანი მათ გვარის და ადმინისტრატიულ სამსახურის საქმის-მწარმოებლის თანაშემწის და მაღალ წოდების და მათ გვარი; მათვე ეხება ყოფილი პოდპრაპორჩიკები, მწყობრის ზემდეგები, ნაცვლები, ფეიერვერკერები, ურიადნიკები და იუნკრები, რომლებსაც არ აქვთ გათავებული სამხედრო სასწავლებელიან პრაპორჩიკის სკოლა, მაგრამ მიღებული აქვთ ნაცვლების ხარისხი ყველა დარგისა, კანდუქტორები და ნაცვლები ფლოტისა.

შენიშვნა: პირნი რომლებიც მსახურობდნენ ყოფილ მენშევიკურ ჯარში თეთრ გვარდიელებათ არ ითვლებიან

3. ყველა ზემოთ ჩამოთვლილნი მოვალენი არიან გამოცხადდნენ აღრიცხვაზე ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატში (პლეხანოვის პრ № 172) და პირადათ იქონიონ თან საცხოვრებელი საბუთი ან მოწმობა სამსახურის შესახებ, მიღებული მოწმობა ძველათ აყვანილ აღრიცხვაზე, სამსახურის ნუსხა ან მოკლე ნუსხა სამსახურის მსვლელობის შესახებ საერთოთ ან თუ ავათ იმყოფებიან ჰქონდნენ თან სათანადო საბუთი ერთ ერთ ექიმისაგან.

4. პირადათ გამოცხადებისაგან არავინ არ თავისუფლდება, გარდა დავარდნილ ავათმყოფებისა და თავისუფლების სრულიად არა მქონნი.

5. დავარდნილ ავათმყოფებმა გამოუცხადებლობის გამო უნდა შეატყობინონ: სამხედრო მოსამსახურეებმა თავიანთ პირდაპირ უფროსებს, სხვებმა კი სამხედრო კომისარიატს.

6. გამოუცხადებელნი აღრიცხვაზე რაიმე მიზეზით ან ტყვილი საჭირო ცნობების მიცემისათვის დამნაშავენი მიეცემიან სამხედრო რევოლიუციონურ ტრიბუნალის სასამართლოში.

7. აღრიცხვაზე ასაყვანათ პირნი ცხადდებიან ქალაქ თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარიატში ქვემო ნაჩვენებ წესით და შემდეგ დღეებით:

მცხოვრებნი 1-ლ სამილიციო უბანში 6 მაისს, მცხოვრებნი 2 რე სამილიციო უბანში 7 მაისს, მცხოვრებნი 3 მე სამილიციო უბანში 8 მაისს, მცხოვრებნი 4 და 5 სამილიციო უბანში 9 მაისს, მცხოვრებნი 6 და 7 სამილიციო უბანში 10 მაისს, მცხოვრებნი 8-ვე სამილიციო უბანში 11 მაისს, მცხოვრებნი 9 რე სამილიციო უბანში 12 მაისს, მცხოვრებნი 10-თე სამილიციო უბანში 13 მაისს, მცხოვრებნი 11-ტე სამილიციო უბანში 14 მაისს, მცხოვრებნი 12 ტე სამილიციო უბანში 15 მაისს.

მცხოვრებნი მარტყოფის, კოჯორის, ყარაიაზის, სართიჭალის და გარეუბნის რაიონებში მაზრისა ცხადდებიან 14 მაისს.

საააღრიცხო სამეულის თავმჯდომარე თბილისის და მისი მაზრის სამხედრო კომისარი **გრ. კობიძე.**

სამეულის წევრი: თბილისის მაზრის აღმასრულებელ კომიტეტის თავმჯდომარე **ქაჯაია.**

—

სავალდებულო დადგენილება

ს. ს. ს. რ. ფინანსთა სახალხო კომისარისა.

რაიონის საგადასახადო საკრებულოში წარმოდგენილ სავაჭრო წიგნების განხილვისათვის ექსპერტის მოსაწვევად გადამხდელის ხარჯზე.

1. ყველა გადამხდელი, რომელიც მოისურვებს სავაჭრო წიგნების მიხედვით დაბეგვრას, ვალდებულია შეიტანოს ხაზინაში საგადასახადო განყოფილების გამგის განკარგულებაში მის სახელდახელო ანგარიშში ექსპერტიზის ხარჯების დასაფარავად საჭირო თანხა.

2. ექსპერტების გასამრჯელოს ყოველ წლიურად აწესებს ფინანსთა სახალხო კომისარი.

3. 1922 წელში საშუალო ნორმა გასამრჯელოსი ერთი ფირმის სავაჭრო წიგნების ექსპერტიზისათვის დაწესებულია ერთი მილიონი მანეთი.

ფინანსთა სახალხო კომისარის მოადგილე **ბ. ბიბინეიშვილი**

პირდაპირ გადასახ. განყ. გამგე **ბეზირგანიშვილი.**

1922 წ. მაისის 4.

ქ. თბილისი.

—

დადგენილება № 17.

შრომის სახალხო კომისარიატისა და ს. პ. კ ს. ნორმის მომწესრიგებელ და წარმოების ორგანიზაციის განყოფილებისა. 1922 წლ. 12 მარტი. დებულება საბჭოთა პრაქტიკულ სამუშაოებზე მიწვეულ დელეგატ-ქალების გასამრჯელოს გასტუმრების შესახებ.

1. დელეგატ-ქალებს, რომელნიც საწარმოო დაწესებულებიდან საბჭოთა სხვა და სხვა ორგანოებში იგზავნებიან სამუშაოდ, სამი თვის განმავლობაში ენახებათ, სამსახურის ადგილი.

2. ერთი კვირის განმავლობაში მათ ქირას ისტუმრებს საწარმოო დაწესებულება; ამ ვადის შემდეგ დელეგატ-ქალებს გასამრჯელოს ინსტრუქტორის განაკვეთის მიხედვით, აძლევს ის დაწესებულებანი, სადაც ისინი სამუშაოდ გაიგზავნენ.

შენიშვნა: გლეხთა და მუშათა ქალთა წრიდან გაგზავნილ დელეგატების გასამრჯელოს გასტუმრებაც მე-2-ე მუხლში აღნიშნულ წესით ხდება.

3. სამი თვის შემდეგ პრაქტიკულ სამუშაოებზე გაგზავნილი ქალები უნდა დაუბრუნდნენ თავიანთ საწარმოო დაწესებულებას ან შესაფერ დაწესებულებაში სამსახურში.

შრომის სახალხო კომისარის მოადგილე **ა. მიქაძე.**

საქ. პროფ. კავშ. საბჭოს მდივანი **კაკნაძე.**

ს. პ. კ. ს. ნორმის მომწესრიგებელ და წარმოების ორგანიზაციის განყოფილების გამგე **ს. ჯუღელი.**

სარედაქციო კოლეგია

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

1 მაისიდან გაზეთის ტრესტის მიერ გახსნილია კიოსკი ტფილისის სადგურზე

შეუდგნენ კიოსკების მოწყობას ამიერ კავკასიის რკინის გზის მთელ ლიანდაგზე.

კიოსკებში გაიყიდება გაზეთები ამიერ-კავკასიის და რუსეთის საბ. ფ. ს. რესპუბლიკისა და აგრეთვე ყველა დარგის წიგნები. საწერი და საფოსტო მასალები.

ტფილისის რკინის გზის კვანძის სატრანსპორტო მომხმარებელი საზოგადოება („უძტპო“)

იყიდება საზოგადოების წევრებზე

ფხვნილი შაქარი . . .	15.000	(სამი გირვანქა
რაფინადი . . .	18 000	(წიგნაკზე.
თეთრი ლობიო . . .	5 000 მ.	(ხუთი მ წიგნაკზე
დანაყილი მარილი . . .	750 მ 10 გ.	" "
„სელდები“ . . .	3.000 მ. 10 გ	,, ,,
პური (შავი) . . .	8.000 მ. 3 გ.	,, ,,
თეთრი . . .	10.000 მ.	,, ,,
ხორბალი ვლადიკავ. . . .	8.000 მ. 5 გ.	,, ,,
კართოფილი . . .	4.000 მ. 10 გ.	,, ,,
ქიშმიში . . .	12 000 მ. 3 გ.	,, ,,
„კურაგა“ . . .	10.000 მ. 3 გ.	,, ,,

ნიგოზი, თხილი, ჩაი სხვა და სხვა ფირმის, საპონი, ჭურჭეულობა ყოველ გვარი, ძეხვეულობა ხილის და მწვანილის კონსერვები (საკუთარი ქარხნის), ფართლეულობა, ჩითები, გილზები და სხვა.

საზოგადოების დუქნებში № 1. ვაგზლის ქ № 3.
,, ,, № 2 პლეხანოვის პროსპექტი კრილოვის ქუჩის კუთხე.
,, ,, № 3. ულ ევის ქუჩა № 44.
,, ,, № 4. ანდრეევის ქუჩა № 113.
,, , — ვაგზლის ქ. № 5.

ახლო მომავალში გაიხსნება დუქნები **პლეხანოვის პროსპ № 138, ჩერქეზიშვილის ქ. ბოტეს სახლში** (ვაგზლის იქით) და **ნავთლუღის სადგურზე.**

2—1

ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველო

ამით აცნობებს ყველა ორგანიზაციებს, დაწესებულებებს და კერძო პირებს, რომ მან მოაწყო რეგულიარული მიმოსვლა სამარშრუტო მატარებლებისა როსტოვში, კიევში, მოსკოვში და ხარკოვში ყოველგვარ ტვირთის გადასატან გადმოსატანად ზემოაღნიშნულ პუნქტებისაკენ და აქეთ.

რკინის გზების სამმართველო ღებულობს თავის თავზე საქონლების გადაზიდვას, როგორც თითო ვაგონობით ისე მისი ჯგუფებით და მთელი მატარებლებითაც. პირობების გასაგებად საჭიროა მ მართვა ამიერ-კავკასიის რკინის გზების სამმართველოში **ეკონომიური სამსახურის უფროსისადმი.**

(3—3)

ამიერ-კავკასიის ს. ს. რესპუბლიკების გაერთიანებულ რკინის გზების სამმართველო

ამით აცნობებს მგზავრებს, რომ **ბათომსა და ბაქოს შორის მიმავალ პირებისთვის მგზავრობის პირობების უფრო უზრუნველსაყოფად** კვირაში ერთჯერ ინიშნება ჩქარი მატარებლები № 1—2. მატარებელი № 1 გამოვა ბათომიდან ხუთშაბათობით 12 საათზე და 45 წუთზე და მოვა თბილისში პარასკეობით 10 საათ. 30 წ., მივა განჯაში პარასკეობით 20 ს. 42 წ. და იქიდან წავა 20 ს. 57 წუთზე და მივა ბაქოში შაბათობით 11 ს. 12 წ. გამოვა ბაქოდან მატ № 2 კვირაობით 13 ს. 25 წ. მოვა განჯაში ორშაბათობით 5 ს. 15 წ. და გამოვა იქიდან 5 ს. 30 წ. და მოვა თბილისში ორშაბათობით 14 ს. 15 წ. გავა თბილისიდან 18 ს. 25 წ. და მივა ბათომში სამშაბათობით 14 საათზე 00 წ. **მატარებელი შესდგება 3 საუკეთესო რბილი და 3 მაგარი ვაგონებიდან.** ყველა ადგილები დანომრილია. **არის საწოლი ადგილები**, ამასთანავე მთელი მატარებელი მოწყობილია ელექტრონით. მატარებელს თან ახლავს **ვაგონი რესტორანი** ცხელი და ცივი საჭმელებით. მგზავრობის გასაადვილებლად შემოღებულია წინასწარი ჩაწერა და გაყიდვა ბილეთებისა, როგორც რკინის გზების ისე ქალაქის სადგურებზე ბათომში და თბილისში.

მოსვლა და წასვლა მატარებლების ოპერატიული დროით.

(3—3)

გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორისაგან

თბილისის გაზეთებზე ხელის მომწერლებს მოვაგონებთ, რომ გაზეთებზე ხელის მოწერის ფასი მაისისათვის უნდა შემოტანილ იქნას არა უგვიანეს 30 აპრილისა. ვინც ამ ვადამდე ფულს არ შემოიტანს 1 მაისიდან გაზეთები არ გაეგზავნება.

ხელის მოწერის ფასი მაისისთვის შემდეგია:

„პრავდა ზაკავკაზია“, „კომუნისტი“, „კარმირ ასტღ“, პარტიულ ორგანიზაციებისათვის და პროფკავშირებისათვის მიტანით: ქალაქში 140,000 მ., პროვინციაში 180,000 მან.

ყველა დანარჩენ დაწესებულებებისათვის და კერძო პირთათვის ქალაქში მიტანით 200,000 მან. პროვინციაში—240,000 მან.

„მიწის მუშა“ (ქართულად), „ახალი აზრი“ (თურქულად), „საქართველოს ეკონომიური ცხოვრება“ (რუსულად):

ელირიბა თვიურად: ქალაქში 80,000 მ. პროვინციაში 100,000 მან.

ცალკე გასაყიდათ: 10,000 მან. ეკზემპლიარი, პროვინციაში 12,000 მ.

ხელის მოწერა მიიღება:

ტფილისში: გაზეთის ტრესტის მთავარ კანტორაში (რუსთაველის პროსპ. № 24). **ქუთაისში:** გაზეთის ტრესტის განყოფილებაში (წერეთლის თან). **ბათომში: „ბატგიზო“**-ში.

გაზეთებისთვის განცხადებები მიიღება

ტფილისში: ტრესტის მთავარ კანტორაში, სახელმწიფო გამომცემლობის ცნობების და სარეკლამო ბიუროში (ლორის-მელიქოვის ქ. №5) და ტრესტის მთავარ კანტორის მიერ მოწმობებით აღჭურვილ აგენტების საშუალებით.

განცხადებების ნიხრი

15,000 მან. პეტიტის სტრიქონი ან მის მიერ დაჭერილი ადგილი.

ხშირი განცხადებისათვის შეღავათი. სამგლოვიარო განცხადება: 300,000 მანეთი. პარტიული და საბჭოთა დაწესებულებებისათვის, დანარჩენთათვის 500,000 მანეთი ერთ ჯერ.